ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (20048) შაბათი, 9 იანვარი, 1988 წელი. ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ჩინებული დასაწყისი

კარგი შრომითი შემართებით დაიწყეს ახალი წელი ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მეავეჯეებმა.

ამ დღეებში აქ ამუშავდა ერთსართულიანი სალაქავი საამქრო, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შრომის პირობები კი თანამედროვე მოთხოვნებს გაუთანაბრდა. მარელისელმა მეავეჯეებმა დღეისათვის უკვე გამოუშვეს 60 ათასი მანეთის პროდუქცია. მათ შორის სამი ათასი ცალი გრეხილი, 2 500 სადურგლო, 1 000 ცალი საბავშვო სკამი და 1 000 ტაბურეტი.

კარგად იმუშავა ფაბრიკის პირველმა მექანიკურმა საამქრომ, რომელმაც 2 300-ის ნაცვლად 2 500 სკამის დეტალი დაამზადა.

მუშაობით თავი გამოიჩინეს მეორე და მესამე საამქროებმა, საზეინკლო სახელოსნომ, მედაზგეებმა და სხვებმა.

▼ ▼

ამინდს ეშურებიან

თელავის რაიონის სოფელ ვანთის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ერთადერთია რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა შორის, რომელმაც შარშან შეასრულა ყურძნის წარმოების გეგმა.

კოლმეურნეობაში გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, აბრეშუმის პარკის წარმოების გეგმებიც.

დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი ვანთელებმა, ისინი გონივრულად იყენებენ კარგ ამინდებს და თადარიგიანი მეურნის კვალობაზე საკმაოდაც დაწინაურდნენ. უკვე შესრულებული აქვთ საგაზაფხულო სამუშაოების ძირითადი ნაწილი. კოლმეურნეობის 216 ჰექტარი ვენახების ფართობებში მთავრდება ვაზის სხვლა-ფორმირების, ნიადაგის მინერალური და ორგანული სასუქებით განოყიერების, რიგთაშორისებისა და ვაზის ძირების დამუშავების სამუშაოები.

სამუშაოების შესრულებაში თავი გამოიჩინეს იმ საიჯარო ბრიგადებმა, რომლებსაც ზურაბ კირვალიძე, დიმიტრი აბულაძე და გურამ მალუძე ხელმძღვანელობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 7 იანვარს გამართულ სხდომაზე მოისმინა ანგარიში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კიევის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ დიდი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზმა გამოავლინა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა და ტენდენცია, რომლებიც თავს იჩენს გარდაქმნის პირობებში. სწორედ გარდაქმნის მოთხოვნათა პოზიციებიდან უნდა ვუდგებოდეთ ყოველი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შეფასებას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კიევის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ხდება პოზიტიური ცვლილებები. იგი ეწევა მრავალმხრივ მუშაობას ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, გარდაქმნისათვის, სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის განსახორციელებლად. პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში ფართოვდება საჯაროობა, მკვიდრდება დემოკრატიული საწყისები წარმოების მართვაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში. ვითარდება ქალაქის ეკონომიკა, უმჯობესდება მისი ბევრი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ამავე დროს აღინიშნა, რომ კიევის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გარდაქმნის საწყის ეტაპზე დაკარგა დრო, ვერ შეძლო ნამდვილად გაეშალა მუშაობა. გარდაქმნით ჯერჯერობით ღრმად არ არის გამსჭვალული პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ცხოვრება. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში კვლავ შეიმჩნევა ზოზინი, მათ ბოლომდე არ აღმოუფხვრიათ ფორმალიზმი, მუშაობის დრომოჭმული სტილი და მეთოდები. მთელმა კადრებმა როდი მოიშორეს თავიდან გულარხეინობის განწყობილება და ენერგიულად როდი მოჰკიდეს ხელი წარსულის დანაშრევების აღმოფხვრას. სათანადოდ არ გაუშლიათ გარდაქმნის იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. პარტიული კადრების გარკვეული ნაწილი სწორად არ ეკიდება კრიტიკულ გამოსვლებს, შეანელა ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოთა ორგანოების მუშაობაში სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის. ქალაქში სუსტად მატულობს საბინაო მშენებლობის, სკოლების, საავადმყოფოების, მაღაზიების, სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების აგების ტემპი.

პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის ყველა საწარმოს საგულდაგულო, დროული მომზადება. სამეურნეო კადრები, შრომითი კოლექტივები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინტენსიფიკაციის, დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის გაზრდის, რეზერვების მაქსიმალური გამოყენების საკითხებს.

პოლიტბიურომ პარტიის კიევის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ძირეულად გააუმჯობესონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დაუცხრომლად განავითარონ გარდაქმნა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება და ძალ-ღონე უნდა მოახმარონ საკვანძო პრობლემებს, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაქმნის ბედს — ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას.

პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა აქტიური მონაწილეობით, საზოგადოებრიობის ფართო წრეების აზრის გათვალისწინებით. დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, უნიკალური ბუნებრივი კომპლექსების დაცვა. ერთიანი ბუნებადაცვითი პოლიტიკის განხორციელების მიზნით გათვალისწინებულია განხორციელდეს საჭირო კოორდინაცია სხვადასხვა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობაში. უახლოეს წლებში დასახულია გადავიდეთ ბუნებადაცვითი საქმიანობის მართვაში ადმინისტრაციულიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. მხარი დაუჭირეს საზოგადოებრიობის წინადადებებს, რომ მომზადდეს ბუნების დაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, შეიქმნას ქვეყანაში ბუნების დაცვის საზოგადოებათა კავშირი.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიის ძირითადი პოლიტიკური შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სესიის მუშაობაში აისახა საერთაშორისო ცხოვრების განახლების დაწყებული პროცესი. გამოითქვა რწმენა, რომ სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის სასარგებლოდ სახავს ახალ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით წინსვლისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ინტერესების ბალანსის გამოძებნის, მათ შორის ნდობისა და თანამშრომლობის განვითარების საფუძველზე. მოიწონეს სსრ კავშირის დელეგაციის მუშაობა სესიაზე.

განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი სოციალისტური ქვეყნების პარლამენტებთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კონტაქტების გაღრმავების შესახებ, რომელთა მიზანია სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ყველაზე სრული განხორციელების გამოცდილების ურთიერთსასარგებლო გაზიარება.

პოლიტბიურომ მოიწონა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურ მდივანთან ა. კუნიალთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ გამართულმა საუბარმა კვლავ დაადასტურა ორივე პარტიის შეხედულებათა ერთიანობა საერთაშორისო ცხოვრების, სოციალური პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის ძირეულ პრობლემებზე. გამოითქვა მისწრაფება კვლავაც განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მეგობრობა და თანამშრომლობა, ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას.

პოლიტბიურომ მოიწონა ბავარიის მხარის პრემიერ-მინისტრთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარესთან ფ.-ი. შტრაუსთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგები. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაიზარდოს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგი, გაფართოვდეს ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში, რაც ხელს უწყობს მთლიანად ევროპის კონტინენტზე ნდობის განმტკიცებას.

განიხილეს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკასა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. მ. ჩებრიკოვის ვიზიტების, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ნგუენ ვან ლინთან და ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან კ. ფომვიხანთან, ვიეტნამისა და ლაოსის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან მისი შეხვედრებისა და საუბრების შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცონ საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა ვიეტნამთან და ლაოსთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა — ამ ქვეყნების მოძმე პარტიებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მთელი რიგი სხვა საკითხები.

არდადეგებზე—თბილისში

სურათზე: (მარცხნიდან) რუფათ გაჯიევი და ლევან თავბერიძე. ჯ. ლომაძის ფოტო.

სასკოლო არდადეგების დღეებში თბილისში პირველად ჩამოსვლის შესაძლებლობა მიეცა ბაქოელ მეათეკლასელს რუფათ გაჯიევს. სხვა ბაქოელ მოსწავლეებთან ერთად იგი დღეს ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში. ბავშვები ამ დღეებს გაატარებენ თბილისელ თანატოლთა ოჯახებში.

ერთმანეთს ისინი ჯერ კიდევ ვაგზალში გაეცნენ და რუფათისათვის თბილისში პირველ ექსკურსიად იქცა მისი ახალი ამხანაგის, მეთერთმეტე კლასის მოსწავლის ლევან თავბერიძის სახლისაკენ მიმავალი გზა. გზადაგზა ბიჭებმა მოასწრეს არა მარტო დაეთვალიერებინათ ქალაქის ძველი ნაწილი, ქართული კულტურის მოღვაწეთა ძეგლები, არამედ განიხილეს კიდეც შემდგომი დღეების გეგმები.

რუფათი აპირებს შეხვდეს ნორჩ ასტრონომებს თბილისში. მათ ბევრი რამ აქვთ ერთმანეთთან სასაუბრო. ბაქოელი მოსწავლის სამგზავრო ჩანთაში არის მასალები, რომლებიც ასახავენ მათი წრის მუშაობას. ლევანმა უკვე გააცნო სტუმარი თავის მეგობრებსა და ახლობლებს, უწინარეს ყოვლისა, დედას.

ბუნებისა და ადამიანის საკეთილდღეოდ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა წინადადებანი ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ

ყველაფერი, რითაც კაცი სულდგმულობს, განუყოფელია ბუნებისაგან. დღეს ეს ოდინდელი კავშირი აშკარად თუ ფარულად კარგავს ურთიერთდამოკიდებულების ჰარმონიას — მწვავდება გარემოსთან ადამიანების ურთიერთობა. ბიოსფეროს გლობალურმა ანთროპოგენულმა ცვლილებებმა შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო, ისინი ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის აღმოჩნდა.

„ადამიანს არასოდეს აუკრეფია ბუნებისაგან ამხელა ხარკი და არასოდეს აღმოჩენილა იგი ესოდენ უმწეო იმ ძლიერების წინაშე, რომელიც თვითონვე შექმნა", — აღნიშნულია სკკპ XXVII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. „განა დიდი არ არის ეკოლოგიური საფრთხე?" — გაისმა ამ ყრილობის ტრიბუნიდან.

დღევანდელი და მომავალი თაობების ეკოლოგიური კეთილდღეობისათვის ზრუნვამ განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში სათუთი, რაციონალური ბუნებათსარგებლობის სტრატეგია. მაგრამ უდარდელი, ხარჯვითი მეურნეობრიობის ხარვეზებმა, წუთიერი გამორჩენის სურვილმა, უწყებრივმა ინტერესებმა თანდათან შეასუსტა მიწის, ჰაერის, წყლის, ტყის, წიაღისეულის, ცხოველთა სამყაროს შესახებ მიღებულ ღონისძიებათა და კანონთა ქმედითობა. მომწიფდა ეკოლოგიური ზედამხედველობის გაძლიერების, გართულებული ბუნებადაცვითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებები ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ, რომლებიც შემუშავდა მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, წამყვანი მეცნიერებისა და სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით, საზოგადოებრიობის ფართო წრეების აზრის გათვალისწინებით.

განმარტა რა ეს დიდმნიშვნელოვანი ცნობა, ბუნების დაცვისა და სანაკრძალო საქმის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ი. პ. იაზანმა განსაკუთრებით აღნიშნა დასახულ ღონისძიებათა აქტუალურობა. საქმე ის არის, თქვა მან, რომ ბიოსფეროსა და გარემოს ანთროპოგენული დატვირთვა ახლა მნიშვნელოვნად იზრდება. მაგრამ ბუნების შესაძლებლობები განუსაზღვრელი როდია. და ეს უკვე იჩენს თავს, კერძოდ, იმით, რომ ზოგიერთ ქალაქში ჰაერის გაჭუჭყიანება დასაშვებ ნორმას სჭარბობს. გამოვლენილია სერიოზული დარღვევები ბაიკალის, ლადოგისა და სევანის ტბების აუზების ეკოლოგიურ სისტემებში, ვოლგაზე, დნეპრზე, ირტიშსა და სხვა მდინარეებზე, ჩრდილოეთის ათვისების რაიონებში. ბუნებას ზოგან უკვე გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. მთლიანად ანთროპოგენული ხარვეზების გაზომვა ძნელია, მაგრამ, ზოგიერთი შეფასებით, ისინი წელიწადში ათობით მილიარდ მანეთს შეადგენს, რაც შეუდარებლად სჭარბობს გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის ხარჯებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით განისაზღვრა იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, უნიკალური ბუნებრივი კომპლექსების შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მიწათმოქმედებაში ქიმიზაციის საშუალებების უმართებულო გამოყენების ნეგატიურ შედეგებს. კერძოდ, შეშფოთებას იწვევს მემცენარეობის პროდუქციასა და საკვებში, აგრეთვე წყალსატევებში ტოქსიკური ნიტრატების დაგროვების გახშირებული შემთხვევები, რაც აზოტის სასუქის შეტანის ნორმების გადაჭარბების გამო ხდება. ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ პრობლემას, რომელიც მწვავედ დგას მთელ მსოფლიოში, და თავიდან აიცილონ სავალალო შედეგები.

ბუნებადაცვითი საქმიანობის ძირეული გარდაქმნა მოითხოვს ეკონომიკის სხვადასხვაგვარი ქვეგანაყოფების კომპლექსურ მიდგომას, ერთობლივ მოქმედებასა და ძალისხმევის გაერთიანებას და ეს დაგეგმილია. „ერთიანი ბუნებადაცვითი პოლიტიკის განხორციელების მიზნით, — წერია დოკუმენტში, — გათვალისწინებულია სხვადასხვა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობის აუცილებელი კოორდინაცია".

ინსტიტუტის დირექტორი ხაზს უსვამს იმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ უახლოესი წლებისათვის დასახულია ბუნებადაცვითი საქმიანობის მართვაში ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა. ეს შეესაბამება სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ფუძემდებელ მოთხოვნებს, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს დარგების საწარმოო ქვეგანაყოფებში.

სახელმწიფო საწარმოს კანონით, რომელიც 1988 წლიდან შევიდა ძალაში, კერძოდ, გათვალისწინებულია ბუნების რესურსებით როგორც ეროვნული სიმდიდრის ნაწილით სარგებლობის ფასიანობის პრინციპის გამოყენება. ამასთან საწარმო ვალდებულია მთლიანად ზღოს გარემოზე წარმოების ეკოლოგიურად უარყოფითი ზემოქმედება საკუთარი საშუალებებისა და კრედიტების ხარჯზე (და მხოლოდ განსაკუთრებულ, ცალკეულ შემთხვევებში — დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე).

ერთი სიტყვით, თვით ეკონომიკა დააინტერესებს და მოანდომებს (ანდა აიძულებს კიდეც) საწარმოთა კოლექტივებს მეტი ყურადღება დაუთმონ გარემოს დაცვას, ყაირათიანად გამოიყენონ ბუნების რესურსები. ეს კი თავის მხრივ დააჩქარებს პროგრესული რესურსებდამზოგველი ტექნოლოგიების ათვისებას, შეკრული წყალბრუნვის სქემების დანერგვას, საწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ეფექტიანი მტვერგამზომვერი მოწყობილობების გამოყენებას.

ქვეყანაში ეკოლოგიური ვითარების ძირეულ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს სსრ კავშირის კანონი ბუნების დაცვის შესახებ, რომლის პროექტის შემუშავება გათვალისწინებულია საზოგადოებრიობის წინადადებით. დიდ სახალხო საქმეში მონაწილეობის ფართო ასპარეზს უსახავს ბუნების თითოეულ ქომაგს ქვეყანაში ბუნების დამცველთა საზოგადოებების კავშირის შექმნა.

დ. სმირნოვი,
ტასის მიმომხილველი.

აქტუალური საკითხი

გავიზიაროთ რკინიგზის საწუხარი

ყველამ კარგად იცის, თუ რა მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბოლო წლებში ამიერკავკასიის რკინიგზაზე, როგორ გახშირდა მარცხისა და ავარიის შემთხვევები, მოიშალა დისციპლინა, შეილახა რკინიგზელის პრესტიჟი, უწესრიგობაა მოძრაობის ორგანიზაციაში, ირღვევა შრომის კანონმდებლობა...

ახლა დაისახა ღონისძიებანი იმისათვის, რომ რკინიგზაზე სიტყვით კი არა, საქმით დაიწყოს გარდაქმნა, სხვა საკითხებთან ერთად მოგვარდეს ყველაზე უმთავრესი — დაჩქარდეს ვაგონების ბრუნვა.

ვაგონთა ბრუნვის დაჩქარება რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის საზომია, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ ამას მარტო რკინიგზელები ვერ გაართმევენ თავს. ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული ტვირთის მიმღებ ორგანიზაციებზე, მათ ოპერატიულ, გააზრებულ მუშაობაზე, საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე, უწყებრივი მარწუხებიდან თავის დაღწევაზე. ურკინიგზოდ ვერავინ ვერაფერს გახდება და ამიტომ, ჩვენი ვალია გვერდზე კი არ განვუდგეთ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მას.

შარშანდელი წლის ბოლო თვეში ტვირთის მიმღებთა დაუდევრობით 2970 ვაგონი, ხოლო გადმოცლის ფრონტის მოლოდინში, ესე იგი რკინიგზელთა მიზეზით მხოლოდ 34 ვაგონი მოცდა. „მხოლოდ", იმიტომ ვამბობთ, რომ 1986 წლის შესაბამის პერიოდში გადმოცლის ფრონტის მოლოდინში 5187 ვაგონი იდგა. გამოდის, რომ ტვირთის მიმღები ორგანიზაციები ახლა მნიშვნელოვნად მეტს სცოდავენ, ვიდრე რკინიგზელები და ამავე დროს გაუთავებლად უჩივიან მათ.

ჩვენ კარგად გვინდა გავაგებინოთ ტვირთის მიმღებმა ორგანიზაციებმა: რკინიგზელებს კი არ ვამართლებთ, ვხელმძღვანელობთ საერთო ინტერესებით. ამას, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის სახელმწიფო-საგრომრეწვის ორგანიზაციების საყურადღებოდ ვამბობთ. მათი მიზეზით შარშან დეკემბერში 550 ვაგონი იდგა გადმოცლის მოლოდინში. იმის თქმა, რომ სახაგრომრეწვის ხელმძღვანელობას არაფერი ეღონოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არ იქნებოდა სწორი. 1986 წლის შესაბამის პერიოდში მათი მიზეზით შეუდარებლად მეტი — 1981 ვაგონი დაყოვნდა, მაგრამ ეს არ შველის საქმეს. ძვირად უჯდება სახელმწიფოს თითოეული ვაგონის არარაციონალური გამოყენება. იმედია, როცა მიმდინარე წლის იანვრის შედეგები შეჯამდება, სახაგრომრეწვს უკეთესი მდგომარეობა ექნება.

ტვირთის უდისციპლინო მიმღებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროც. მან მიმდინარე ხუთწლედის პირველი წლის დეკემბერთან შედარებით შარშანდელ შესაბამის პერიოდში 214-ით მეტი, ესე იგი 393 ვაგონი დააყოვნა, საშუალოდ დღე-ღამეში ცდებოდა 12,7 ვაგონი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებიც. მათ რომ მაშინვე მიეხედათ საქმისათვის, დროულად მოექცეოდა ბრუნვაში 108 ვაგონი, შემცირდებოდა პრეტენზიები იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც რკინიგზას წამდაუწუმ სთხოვენ ტვირთის გაგზავნას.

უნდა გარდაიქმნას რკინიგზისადმი დამოკიდებულება ცეკავშირშიც. რატომ უნდა მოცდენილიყო მისი ობიექტების ხელმძღვანელთა უყურადღებობით 211 ვაგონი, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?

საკმაოდ დიდი რაოდენობის ვაგონები ვერ გადმოტვირთეს გათვალისწინებული დროისათვის რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანებამ და მეტალურგიულმა ქარხანამ, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, მთელმა რიგმა სხვა სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა. ქ. რუსთავში, სხვათა შორის, მთლიანად დეკემბერში 261 ვაგონი ელოდა ამაოდ თავის ჯერს.

ძალიან ცუდად მუშაობენ ტვირთის მიმღები საწარმოები, დაწესებულებები, სხვა ორგანიზაციები თბილისის საქარხნო რაიონში. საქმისადმი მათი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით მარტო შარშან დეკემბერში დაყოვნდა 262 ვაგონი. დასანანია, რომ ამ რაიონში 1986 წელს შესაბამის პერიოდთან შედარებით მთელი 28 ვაგონით მეტი მოცდა. უკეთესი მდგომარეობა არც გლდანის რაიონშია. აქ განლაგებული ორგანიზაციების მიზეზით 111 ვაგონი დარჩა გადმოუცლელი. იმედია, ქ. რუსთავისა და თბილისის ზემოხსენებული რაიონების ხელმძღვანელები გვიპასუხებენ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება ამ მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ეს ეხება აგრეთვე ქალაქების გაგრის და სოხუმის, სამტრედიის, ლენტეხის, გუდაუთის, წულუკიძის, გალის, მახარაძის რაიონებს, რომელთა უყურადღებობითაც ასობით ვაგონი დაყოვნდა. ვაგონი მოცდა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა, ეს, ალბათ, არც არის საჭირო. ცნობარს ვაგონთა ბრუნვის თაობაზე ყველა ხელმძღვანელი იღებს და კარგად იცის, როგორი სიტუაციაა ამ მხრივ მის რეგიონში.

ვიმეორებთ: რკინიგზის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განუხრელი წინსვლა. რკინიგზის მუშაობას კი სწორედ ვაგონების ბრუნვის დაჩქარებით აფასებენ. დროა ყველამ გარდაქმნას რკინიგზისადმი დამოკიდებულება, ყოველნაირად შეუწყოს ხელი მისი მუშაობის გაუმჯობესებას.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

გიხაროდენ!

მალე ხელთ გვექნება საუკუნისწინანდელი „ვეფხისტყაოსანი", ისეთივე, როგორიც დაისტამბა იგი 1888 წელს.

და რა უნდა იყოს ამაზე ძვირფასი საახალწლო საჩუქარი ჩვენთვის — თითოეული ქართველისათვის.

„საუკუნის წინ საგანგებოდ შედგენილმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია, აკაკი წერეთელი და მაშინდელი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები, სახელოვანი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მრეწველის გიორგი ქართველიშვილის (1830-1901) ხარჯით გამოსცა უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩისა და გრიგოლ ტატიშვილის მიერ გაფორმებული და მდიდრულად დასურათებული „ვეფხისტყაოსანი".

თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ პოლიგრაფიულ დონეს, ეს იყო მართლაც უძვირფასესი გამოცემა.

დრომ თავისი გაიტანა, და დღესდღეობით ამ უმშვენიერესი გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარიღა თუ შემოგვრჩა პირვანდელი ელვარებით.

დღეისათვის პოემის აკადემიური ტექსტი თუმცა დადგენილია, გამომცემლობამ მაინც მიიჩნია მიზანშეწონილად, აღედგინა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული 1888 წლის გამოცემა, აღედგინა, როგორც რუსთველოლოგიის ერთი უმშვენიერესი ძეგლი".

მწერალ გურამ ფანჯიკიძის ეს ბოლოთქმა დართული აქვს პოემის ქართველიშვილისეულ ხელახალ გამოცემას, რომელიც ეს-ეს არის გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

ასი წლის წინათ გამოცემულ ბოლოსიტყვაობაში კი, რომელიც 1888 წლის 20 მარტით არის დათარიღებული, ვკითხულობთ:

„პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის" დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც იონა მეურნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლიარი არ აღმოჩნდა, — კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წ. — მაინც კომისიამ სხვადასხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფოტო-ცინკოგრაფიით ვენაში ანგერმა გადაიღო; ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს, ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსჭრეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდამ და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდამ, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს — თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს ალბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურის გდება თავს იდვა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქცია".

ხელახალი გამოცემა გამსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში დაუსტამბავთ, ოფსეტური წესით. ასე რომ, ქართველი ერის უკვდავ პოემას კვლავ პირვანდელი სტამბის სურნელი ახლავს. და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით გამოცემისათვის პასუხისმგებელს — გურამ ფანჯიკიძეს, წიგნის მხატვრულ რედაქტორებს — დავით დუნდუასა და ვახტანგ მენთეშაშვილს, კომბინატის დირექტორს ცეზარ ხაზარაძეს, ყველას, ვისი ხელებიც ასე რუდუნებით კინძავდა მას.

წიგნის ტირაჟის გარკვეული რაოდენობა თბილისის რიტუალების სასახლეს გადაეცემა და მრავალ ახალდაქორწინებულს გაახარებს.

ასე რომ, კვლავ აღდგება ჩვენში ოდინდელი — ერის უპირველესი და ხელიხელსაგოგმანები, სიკეთისა და სიყვარულის, ჭირთათმენისა და მეგობრობის მქადაგებელი წიგნით გამზითვება-დაქორწინების ტრადიცია.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ „საბჭოთა საქართველომ" რუსულადაც გამოუშვა პოემა. მალე მკითხველი „ვეფხისტყაოსნის" მინიატიურულ და სკოლებისათვის გათვალისწინებულ მასობრივ გამოცემებსაც მიიღებს. და, რაც მთავარია, გამსახკომის ხელშეწყობით უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ პოემის აკადემიურ გამოცემასაც წლეულსვე ვიხილავთ.

ნ. სულაძე.

მიხეილ გორბაჩოვის წიგნის განხილვა

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყო განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წიგნისა — „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის".

წიგნისმოყვარულთა აქტივს ნაშრომი წარუდგინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა დ. გ. სტურუამ.

წიგნში ავტორი უპასუხებს კითხვებს, რა არის გარდაქმნა, რა არის მასში მთავარი? გარდაქმნა, ხაზს უსვამს მ. ს. გორბაჩოვი, მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი.

გარდაქმნაში მთავარია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული განახლება, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა.

განხილვაზე გამოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წიგნის ავტორი მკითხველს ესაუბრება გასაგებ, ნათელი ენით, არ ახვევს თავს საკუთარ აზრს, სთავაზობს გაიაზროს ჩვენი საზოგადოების პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივები.

ეცნობა საქართველოს

8 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი უ. ბრედლი, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მიწვევით იმყოფება.

სტუმარს გააცნეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მისი ავტონომიური ფორმირების სტრუქტურა და საქმიანობა. ესაუბრნენ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე, მის დღევანდელობაზე, მეცნიერების და კულტურის მიღწევებზე, და იმაზე, თუ როგორ წყდება რესპუბლიკაში საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის რევოლუციური განახლების დროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა 1987 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა. ხელშეკრულება საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ დიდი წინგადადგმული ნაბიჯია რეალური ბირთვული განიარაღების გზაზე.

გამოითქვა რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრის წარმატებით დამთავრება იმპულსს მისცემს სხვა სახეობათა ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებას, თანამშრომლობის განვითარებას, სხვადასხვა დარგში საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის გზაზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაპულავა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ლალიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ე. პრიმაკოვი, თ. გამყრელიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობისას სენატორმა უ. ბრედლიმ დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზ. წერეთლის სახელოსნოში. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

პასუხისმგებლობა დაჩქარების იმპულსია

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

ძარბაზში, სადაც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი მიმდინარეობდა, ადგილებიდან გამომსვლელთათვის მიკროფონები იყო დაყენებული, მაგრამ არც კი გახსენებია არავის... სამაგიეროდ უჩვეულოდ მწვავე და ემოციური იყო გამოსვლები ტრიბუნიდან. ორატორები სულაც არ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კრიტიკაში, როდესაც საკითხს განიხილავდნენ ან პრობლემაზე ლაპარაკობდნენ, ისინი ზუსტად და პატიოსნად აფასებდნენ ყოველივეს, რაც ადგილებზე აფერხებს გარდაქმნას, სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მტკივნეული საკითხების გადასაწყვეტად.

საოლქო კომიტეტის ბიუროს საანგარიშო მოხსენებამ გარდაქმნის ხელმძღვანელობის საქმეში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა, მხოლოდ გამოკვეთა დადებითი ძვრები და ტენდენციები ამ მიმართულებით, მთელი ყურადღება მიაპყრო ნაკლსა და ხარვეზებს, რომელთა დაძლევა ოლქის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა.

შეაფასეს რა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროთა საქმიანობა, გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ არ იგრძნობა მტკიცე შემობრუნება გარდაქმნის პროცესების, პარტიული მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისადმი. ჯერ კიდევ არ ქცეულა საყოველთაო ნორმად კოლექტიური ხელმძღვანელობა, საჯაროობა, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობა. ნელა მიმდინარეობს იმ ღრმად გამჯდარი პრაქტიკის დაძლევა, როდესაც პარტიული ორგანოები საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მაგივრობას ეწევიან.

— განა ეს ნორმალურია, რომ ვერც ერთი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ვერ დაუგეგმავს ვერც ერთი ციფრი ისე, თუ რაიკომის პირველ მდივანს არ შეუთანხმა?

— პრინციპულად დააყენა საკითხი საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. კაჩმაზოვმა. — გარდა ამისა, ვფიქრობ, — მიმართა მან საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, — არც ისეთი პრაქტიკაა სწორი, როდესაც პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობებზე მუშაკთა დაწინაურებისას არ ითვალისწინებენ საოლქო აღმასკომის აზრს.

კადრების დაწინაურებისა და განაწილების პრობლემებს შეეხო პრაქტიკულად ყველა ორატორი. პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრმა, გ. ვ. ქოჩიევმა, მაგალითად, ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საოლქო კომიტეტის განყოფილებანი მუშაკებს ზოგჯერ აწინაურებენ ნომენკლატურულ თანამდებობებზე, რომლებიც პარტიის საქალაქო კომიტეტის კომპეტენციაშია, და არ უთანხმებენ ქალაქკომს კანდიდატურებს. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება დარგებში, რომლებსაც საოლქო კომიტეტის მდივანი ი. ნ. ტეხოვა კურატორობს.

პლენუმზე მრავლად გამოითქვა შენიშვნები ოლქის პარტიულ ხელმძღვანელთა მიმართ, მაგრამ ეს როდი იყო ავყიური გამოხდომები, პირადი ანგარიშების გასწორება, თუ წვრილმანი კრიტიკა. პირიქით, კომუნისტი ამხანაგურად მიუთითებდა კომუნისტს ნაკლოვანებებს, რომლებიც ამცირებენ მისი მუშაობის ეფექტიანობას, და, მაშასადამე, აფერხებენ მინდობილ უბანზე განახლების ტემპს.

სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა პარტიულ მუშაობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლისა და ადგილის შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების ამ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ჯერ კიდევ ყველგან სრულად როდი ვიყენებთ. ამის დასტურია ისიც, რომ კოლექტივებში გამართულ კრებებზე პირუთვნელი კრიტიკა ხშირად გაისმის, ხოლო პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ფორუმებზე იგი ჩამცხრალია, არავინ აკრიტიკებს ბიუროს წევრებს, მდივნებს, იშვიათად ეხება იგი განყოფილებათა მუშაობას. კრიტიკისათვის დახურული ზონები არ არსებობს, და მისდამი ასეთი დამოკიდებულება იმით არის გამოწვეული, რომ ოლქში ჯერ კიდევ ვერ გაუღვივეს მშრომელებს პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველივე იმისათვის, რაც მათ ირგვლივ ხდება.

გამოსულმა ამხანაგებმა გაანალიზეს სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და ყველაზე „მტკივნეული" ადგილი უწოდეს კაპიტალურ მშენებლობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დარგი გარდაქმნას განზე უდგას. არადა, მასზე ხომ უშუალოდ არის დამოკიდებული ადამიანთა კეთილდღეობა, იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახალხო-სამეურნეო ყულაბაში ავტონომიური რესპუბლიკის წვლილის ზრდას, ეს წვლილი კი ჯერჯერობით მცირეა, ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. კაპიტალური დაბანდების ათვისებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმები კვლავინდებურად სისტემატურად შეუსრულებელი რჩება. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მშენებლობის ურიტმობა. მაგალითად, თერთმეტი თვის მანძილზე საცხოვრებელი ფართობის ამოქმედების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 59,9 პროცენტით. ეს დაღს ასვამს ჩასაბარებელი ობიექტების ხარისხს. არადა, საცხოვრებელი ბინები ის სფეროა, სადაც ყოველგვარი ნაკლი და ხარვეზები თვალში გეცემა კაცს.

რა თქმა უნდა, ოლქის სამშენებლო კომპლექსის მუშაკებს ბევრი სიძნელე აქვთ. კერძოდ, მათ აღალატებენ სამშენ მასალათა ინდუსტრია, ტრანსპორტი, ზოგიერთი სხვა მომიჯნავენი. მაგრამ აშკარაა აგრეთვე საკუთარი ხარვეზებიც მშენებლობის ორგანიზაციასა და დაგეგმვაში.

საბოლოო შედეგებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ძირითადი ბერკეტების ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციებში არასაწარმოო დანაკარგებისა და შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის საკითხებისადმი უყურადღებობის გამო ვერ სრულდება შრომის ნაყოფიერების, მოგებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების დავალებანი. ოლქის ხელმძღვანელობამ ღრმად უნდა გაიაზროს სამშენებლო კომპლექსის საწარმოო ბაზის განვითარების გზები, მოიფიქროს, როგორ შეუსატყვისოს იგი საწარმოო პროგრამას.

პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს წინადადება: მაქსიმალურად აითვისონ მშენებლობა სამეურნეო წესით. არადა, მისი მარჯვე გამოყენების მაგალითები აქვთ თვით ცხინვალშიც: ადგილობრივმა ქარხანამ „მინანქარსადენმა" ამ მეთოდით ააშენა საწარმოო საამქროს შენობა და სხვა სადგომ-სათავსები.

პლენუმმა გააკრიტიკა საოლქო კომიტეტის ბიურო იმის გამო, რომ ვერ შეძლო უზრუნველეყო ისეთი ვითარება, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტი, ყველა რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები სათავეში ჩაუდგებოდნენ გარდაქმნას, ენერგიულად და მტკიცედ ივლიდნენ წინ.

ბევრი პრეტენზია გამოითქვა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოების გადასვლის მომზადების მიმართ. პარტიის საოლქო კომიტეტმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას, მათი რენტაბელობის გაზრდას, რათა მიღებულმა მოგებამ საშუალება მისცეს განავითარონ წარმოება, უკეთ განახორციელონ სოციალური ღონისძიებანი.

პარტიის საოლქო კომიტეტის ყოველდღიური საზრუნავი უნდა გახდეს გარდაქმნის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისად არ უკავშირდება ცხოვრებას, გვერდს უვლის მწვავე საკითხებს. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დავეხმაროთ მასებს დაეუფლონ სოციალისტური დემოკრატიზმის კულტურას.

პრობლემები კი, როგორც ვხედავთ, მრავლად არის, სხვათა შორის, იმ მიზეზების გამოც, რომ საგულისხმო გამოცდილება არ ხდება ყველა იმათგანის კუთვნილება, ვისაც უჭირს. ეს კი ეხება ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის მრავალ სფეროს და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას, სადაც საჭიროა გარდაქმნის უფრო აწყობილი რიტმი და დაჩქარების ძლიერი იმპულსი.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. გ. ვარძელაშვილი.

(საქინფორმი).

ქმედითობა

ბუნების დაცვა ყველას ვალია

„კომუნისტის" კრიტიკულ გამოხვლას უპასუხებს რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველო.

4 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნა სათაურით **„ნეტამც კი პირიქით იყოს"**, რომელიც სახელმწიფო და საკუთარი ავტომობილების მიერ ატმოსფეროს გაჭუჭყიანების საკითხებს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით რედაქციას უპასუხებს

სახელმწიფო ავტოინსპექციის სა-

...

ბის რეგულირების საკითხი არ დგას სათანადო სიმაღლეზე აგრეთვე ავტოტექმომსახურების სისტემაში. ავტომანქანებს, რომლებსაც ჩაუტარდათ ძრავის რეგულირების სამუშაოები, გამონაბოლქვ აირებში ნახშირჟანგის შემცველობა ნორმაზე მეტი ჰქონდათ.

ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით ბუნების დაცვის კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებას. რეიდების დროს შემოწმდა 60 ათასზე მეტი ავ-

...

გასული წლის 9 თვეში შემოწმდა 5594 ავტომანქანა. 4455 მანეთით დაჯარიმდა 133 ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო 2738 მანეთით 460 მძღოლი. 520 ავტომანქანას აეკრძალა შემდგომი ექსპლოატაცია.

მიღებულმა ღონისძიებებმა გვიჩვენა, რომ ავტომანქანების მფლობელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მათს ტექნიკურ მომსახურებას, არ გააჩნიათ გამონაბოლქვი აირების შესამოწმებელი თანამედროვე ტიპის აპარა-

...

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა

...**ნული** კი არა, უზარმაზარი მინუსი გვაქვს, — ასე უპასუხა კორესპონდენტთა კითხვას ბანკში საწარმოს დღევანდელი ანგარიშის შესახებ თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების მთავარმა ეკონომისტმა ნოდარ მერაბიშვილმა.

— მეტსაც გეტყვით, — განაგრძო მან, — ჩვენ 19 მილიონი მანეთი გვმართებს სახელმწიფოსი. ეს, არსებითად, გაერთიანების ხელფასის წლიური ფონდია...

აი ასეთი, არცთუ მაჟორული ნოტით დავიწყეთ თემქის გაცნობა იანვრის დამდეგს, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების აქ დანერგვის პირველ დღეებ-

...

დალს გამომუშავებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოხლოვდა სასიკეთო ცვლილებები.

ელმავალმშენებლებს ალაპარაკებს არა უნიადაგო ოპტიმიზმი, არამედ იმის მტკიცე რწმენა, რომ წარმატებით დავეირგვინდება საწარმოში შემუშავებული პროგრამა და გარღვევას თავს დააღწევენ. რა არის მის არსი?

ქარხნის სტატისტიკის ლაკონიური ციფრები, მაგალითად, მოწმობს: გაერთიანებაში დაგროვდა 17 მილიონ 480 ათასი მანეთის ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული მარაგი. მაშასადამე, კოლექტივი მარტო ამ მიზეზით ყოველწლიურად ნახევარ მი-

...

ბის ნორმალურ პირობებს. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება.

— შარშანდელი წლის საწარმოო პროგრამის ჩავარდნა, ძირითადად, მოხდა ჩვენი მომიჯნავეების — ნოვოჩერკასკის ელმავალმშენებელი ქარხნის მიზეზით, — განმარტავს გაერთიანების მთავარი ინჟინერი ანდრია ბერიძე. — მათ დაგვავალეს სერიული ვლ-11-ისათვის განკუთვნილი კვანძებისა და დეტალების 41 კომპლექტი, რამაც გამოიწვია ის, რომ სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულებას დააკლდა 8,8 მილიონი მანეთი. როგორ მოვახდინოთ გავლენა ასეთ უნიათო პარტნიორზე?

...

წყო პირველი გამოცდა — გამოცდა ვაჟკაცობისა, ცნო საკუთარი ხარვეზები და დამოუკიდებლად გადაჭრა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის გარდაქმნის კალენდრის მიხედვით მოქმედებას.

ასეთი განსაკუთრებული აზრი აქვს გენერალურ დირექტორსაც.

— თქვენ ყურადღებას მიაქცევდით, — თქვა ზურაბ ჩივაძემ, — რომ ამ ორი საათის განმავლობაში, რაც ჩვენ ვსაუბრობდით, ორჯერ დარეკა „საქალაქთაშორისომ". ორივე ზარი მოსკოვიდან იყო: მე რომ მკითხო, სამინისტროელ ამხანაგებს ვურჩევდი, უფრო იშვიათად მოემართოთ ხოლმე ჩვენთვის ტელეფონით, შეე-

...

სა თუ მომსახურების მწარმოებელს.

ჯერჯერობით კი თემქის შეუძლია მიწოდების რიტმის დაცვით მხოლოდ საჭიროა საწარმოების საჭირო კვანძები და დეტალები. სხვათა შორის, ვლ-15 ახალი ლოკომოტივის ეკიპაჟის ნაწილების მხრივ პრობლემებს არ ვაწყდებით, ვინაიდან მათ ადგილზე ვამზადებთ...

დღეს გაერთიანებაში ბევრს ანგარიშობენ, ითვლიან და ითვალისწინებენ. გამკაცრდა ქარხნის პოზიციაც სამინისტროს მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ გამოგზავნილი ნორმატივები კოლექტივმა არ მიიღო და თავისი წინადადებ-

...

კანონი: პირველი დღეების გაკვეთილები

...

იძლევა დასძინო მხოლოდ სიტყვები კოლექტივისა და პროფესიისადმი ერთგულების შესახებ. მაგრამ თემქელთა უმრავლესობის პოზიცია უპირატესად ერთიანია: დიახ, დღეს აქ ძალზე რთული მდგომარეობაა შექმნილი, და ეს სიტუაცია გარდაუვალად დაასვამს

...

რამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული შესაბამისი ბერკეტები. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოს კანონში უშუალოდ არის ნათქვამი, რომ მისი საქმიანობა არ უნდა არღვევდეს სხვა საწარმოთა მუშაო-

...

ლებიც წყვეტენ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ბედს და, მაშასადამე, შრომითი კოლექტივების შემადგენელი ასობით და ათასობით ადამიანის ბედს. ახალი კანონი უმტკივნეულოდ როდი „მოერგო" პრაქტიკას. მაგრამ ჩაება რა მუშაობაში, მან უკვე მოა-

...

მათი უფრო რთული მდგომარეობა იქმნება. და აქ საჭიროა სრული ძალით გამოვიყენოთ კანონის დებულება, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მონოპოლიურ მდგომარეობას ასეთ საწარმოებს როგორც გარკვეული სახეობის პროდუქციის, სამუშაო-

...

ლიც კოლექტივს შესაძლებლობას აძლევს უკეთ გადაწყვიტოს თავისი საწარმოო და სოციალური პრობლემები.

გ. ჩიქოვანი,
ა. შარშუნოვი,
საქინფორმის კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

თბილისური კერამიკა

თბილისის კერამიკული კომბინატის სადემონსტრაციო დარბაზი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პირობებში მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლისა და ხარისხის თავისებურ ლაბორატორიად გადაიქცა. იგი ზრდის მატერიალურ დაინტერესებას.

ხუთწლედის მესამე წელს აქ გადაწყვიტეს აამოქმედონ თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საამქროები. ისინი გამოუშვებენ მაელერებსა და სანტექნიკურ ნაწარმს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა.

კერამიკული კომბინატის კოლექტივი ახალი წლის ანგარიშში ჯერ კიდევ 1987 წლის სექტემბრიდან მუშაობს. იანვარში კარგად დაწყებული მუშაობა საწარმოს ერთსულოვანი კოლექტივის ახალი წარმატებების საწინდარია.

სურათზე: გემოვნებით აფორმებს თბილისურ კერამიკას მხატვარი ხათუნა ბიჭიკაშვილი.

შეხვედრები სასარგებლო იყო

კუბელი აგრარიკოს-სპეციალისტების დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ესტუმრა, ეწვია მახარაძის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას. სტუმრებმა დაათვალიერეს გაერთიანების მუზეუმი, რომლის ექსპონატები ასახავს ქართველი სპეციალისტების მრავალმხრივ მუშაობას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების დარგში.

შეხვედრისას კუბელებმა იცნეს თავის დროზე თავისუფლების კუნძულზე მომუშავე ვახტანგ მკერვალი — საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიის გამგე.

— კუბაში მცენარეთა დაცვის საკითხებზე ვმუშაობდი, — თქვა მეცნიერმა, — და მოხარული ვარ, რომ ჩემს რეკომენდაციებს მხარი დაუჭირეს კუბელმა კოლეგებმა.

საფუძვლიანი საუბარი ციტრუსოვანთა დამუშავების და მეცხოველეობის განვითარების პრობლემებზე, მშრომელთა სოციალური პირობების შესახებ გაიმართა სოფელ ნატანების კოლმეურნეობის აგროფირმაში.

მეორე დღეს სტუმრებმა ინახულეს ბათუმის ციტრუსების გადამმუშავებელი ქარხანა „ნარინჯი" და თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატი. ისინი იყვნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში, სადაც ინახულეს ლევან ქიქავას საფლავი, რომელიც სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად სამოციანი წლების დამდეგს ეხმარებოდა ახალგაზრდა კუბის რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ლევანის სიცოცხლე ტრაგიკულად შეწყდა კუბაში. ახალგაზრდა აგრონომის ხსოვნის ნიშნად თავისუფლების კუნძულის ერთ-ერთ სკოლა და სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლა ლევან ქიქავას სახელობისაა.

— საქართველოში შეხვედრები ძალზე სასარგებლო იყო, — თქვა დელეგაციის მეთაურმა, კუბის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ოსკარ ბასულტომ. — ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ თქვენგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია. ჩვენი თანამშრომლობა გაფართოვდება.

▼ ▼

ახალი სატელეფონო სადგური

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის მოსახლეობა მრავალი წლის მანძილზე ელოდებოდა პირდაპირ სატელეფონო კავშირს რაიონის ცენტრთან, წარმოება-დაწესებულებებთან, ერთი სიტყვით, მთელი სოფელი უტელეფონოდ იყო. და აი, ახლახან ჩოჩხათელებმა ჩინებული საჩუქარი მიიღეს. ამუშავდა 300-ნომრიანი სატელეფონო სადგური.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ტელეფონიზაციის სამუშაოები დროულად შესრულა „საქკავშირმშენის" ტრესტის მახარაძის № 1 სამონტაჟო სამმართველომ.

მიუღინება მკითხველის თხოვნით

წყალი თევზს გაექცა, თევზი?..

რედაქციამ ხონის რაიკოოპერატივის თევზის სანაშენე მეურნეობის დირექტორის ლ. ახალაიას სავანგაშო წერილი მიიღო: გვიშველეთ, თევზი წყალს გაექცა, წყალი — თევზს, სატბორე მეურნეობა უპატრონოდ დარჩა, როგორ მოვიქცეთ.

ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ვ. ჩაჩიბაია რედაქციის დავალებით ხონში ჩავიდა, ადგილზე გაეცნო საქმის ვითარებას, ნახა დაცარიელებული სატბორეები, ესაუბრა რაიონის ხელმძღვანელებს.

რაიონული ცენტრის აღმოსავლეთით, ოთხ კილომეტრზე, მდინარე ოხჩომურის (სიტყვასიტყვით „სათევზაოს" ნიშნავს) გაყოლებით მდებარეობს რაიკოოპერატივის სატბორე მეურნეობა, რომელიც ჯერ კიდევ 1963 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ და პირველსავე წელს 38 ტონა ცოცხალი თევზი მიჰყიდა სახელმწიფოს. თავიდან საქმე თითქოს კარგად აეწყო. ოხჩომურიდან თხუთმეტი ჰექტარი ფართობის სატ-

...

ურნეობის სათავე ნაგებობა, გადავიდა კალაპოტიდან, წალეკა ბუნებრივად და ხელოვნურად შექმნილი ტბორის კედლები, საფრთხე შეუქმნა როგორც სატბორეს, ისე რაიკოოპერატივის შენობა-ნაგებობებს"... შემდეგ რაიაღმასკომი აყენებდა მდინარის კალაპოტის 500 მეტრზე გამაგრების და სათავე ნაგებობების ხელახლა მოწყობის საკითხს. ანალოგიური შინაარსის ორმხრივი წერილები მრავალჯერ

...

საჭირო ტექნიკა არა გვაქვსო და სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შესასრულებლად რაიკოოპერატივებს თითი თითზე არ დაუკარებიათ.

რაიონის ხელმძღვანელებმა ერთხანს სატბორე მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანებისთვის გადაცემა განიზრახეს. თითქოს სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ გაერთიანების მესვეურებმა ქვა აავდეს და თავი შეუშვირეს: ღმერთმა დაგვიფაროს, მისი საბალანსო ღირებულება ძალიან დიდია და მაგ პასუხისმგებლობას როგორ ვიკისრებთო.

...და ასე; ათეული წლების მანძილზე ეღის ხონის სატბორე მეურნეობა მაცოცხლებელ ოხჩომურის წყალს, მდინარე კი 40 მეტრის დაშორებით თავისთვის მიედინება.

...

ეწყდა და სატბორეო მოავალ პატარ-პატარა გუბეებად აქცია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ოხჩომურში მდინარის წყალი თავისით არ გადავიდა სატბორეში და თევზი მშრალზე დარჩა, ახლა გზის ორივე მხარეს განლაგებული უზარმაზარი ტერიტორია იავარქმნილი და მიტოვებულია.

ვერ ვიტყვით, რომ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს უყურადღებოდ დაეტოვებინოთ თევზის სატბორე მეურნეობა და ხელი ჩაექნიოთ, ამის შემდეგ ინტენსიური მოლაპარაკება და მიმოწერა დაიწყო ხონის ხელმძღვანელებსა და ცეკავშირის გამგეობას შორის; ამაში ჩართული იყვნენ სხვა შესაბამისი სამსახურებიც. თავი ავანებოთ წინა პერიოდს — 70-იან წლებს, იგი შორს წაგვიყვანს. 1984 წლის მარტში ხონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. თოდუას ხელმოწერით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ქ. შავიშვილის სახელზე ასეთი შინაარსის წერილი გაიგზავნა: „1984 წლის 8–9 აგვისტოს ძლიერი კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარე ოხჩომურმა გაარღვია ხონის რაიკოოპერატივის თევზის სატბორე მე-

...

ეს თაქმდება. ჯერ იყო და, ცეკავშირის საპროექტო კანტორის (უფროსი — რ. გამცემლიძე) მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით სათავე ნაგებობის აღდგენითი სამუშაოების შესრულება ცხაკაიას სპეციალიზებულ მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი — გ. ბერაია) დაიწყო და 27 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულების შემდეგ მუშაობა შეწყვიტა, რადგან სათავის გადახიდვის პროექტი უვარგისად მიიჩნიეს.

ისევ დაიწყო კატა-თაგვობანას თამაში, ისევ იმატა წერილებისა და საჩივრების ნაკადმა. 1986 წლის მაისში ცეკავშირმა გამგეობის გადაწყვეტილებით, ხონის რაიკოოპერატივის თევზის სატბორე მეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოები შეწყვიტა, თავისი № 1 ტრესტის სამუშაო გეგმიდან ამოიღო და რაიკოოპერატივს გადასცა სამეურნეო წესით შესასრულებლად. ამ მიზნისათვის გამოიყო 104 ათასი მანეთი.

მაგრამ რაიკოოპერატივის გამგეობა (თავმჯდომარე — ა. კვარაცხელია) განზე განუდგა: ცეკავშირის ამ გადაწყვეტილებას ვერ შევასრულებთ, იმის გამო, რომ

...

ებს არავინ კითხულობს.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს — რა გახდა 15-ჰექტარიანი სატბორე მეურნეობა?! ჯერ ერთი, სატბორის მოწყობაზე ხომ დიდი თანხა დაიხარჯა? მეორეც, ხონის მცირემიწიანი რაიონი რომ არის, ხომ არ დაივიწყეს? გარდა ამისა, ახლა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად ყოფილი სატბორეების გამოყენება შეუძლებელია, რადგან მიწის გაკულტურებაც საკმაო ხარჯებს საჭიროებს.

საყურადღებოა სპეციალისტების დაახლოებით გაანგარიშებაც: 15 ჰექტარზე თურმე 80-90 ტონა სიმინდის მარცვლის მოყვანა შეიძლება. ერთი სიტყვით, გონიერება და გამჭრიახობაა საჭირო.

... გვიან საღამოს დავტოვეთ ხონი. აქეთობას კვლავ გავუარეთ სატბორე მეურნეობას. ოხჩომურის ხეობაში ნისლი ჩაწოლილიყო. ფიქრებში წასულებმა ერთი წუთით წარმოვიდგინეთ ტბორებში მოლივლივე მავ და წითელხალებიანი კალმახები...

იქნებ ცეკავშირელებმა ახლა მაინც სერიოზულად იზრუნონ?

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

წერილი „კომუნისტს"

აუცილებელია მიწისქვეშა გადასასვლელი

დიდ ქალაქში ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმისათვის, რომ ქვეითს შეექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ამასთან ერთად ქალაქის ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. ავიღოთ მაგალითად თბილისში, გურამიშვილის და პავლოვის ქუჩის გადაკვეთა იქ, სადაც ს. ორჯონიკიძის ძეგლი დგას.

ეს მონაკვეთი მთელი დღის განმავლობაში ძალიან გადატვირთულია ტრანსპორტით და ქვეითებით. შუქნიშნების მიუხედავად, ამ ადგილებში გადასვლა ქუჩის ერთი მხრიდან, მეორეზე სახიფათოა სიცოცხლისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ხშირია ტრანსპორტის მძღოლების და ქვეითი მოქალაქეების მიერ მოძრაობის არსებული წესების უხეში დარღვევა, რის შედეგადაც მომრავლდა უბედური შემთხვევები.

ამ მონაკვეთზე ტრანსპორტიც ხშირად გროვდება და მოძრაობა ფერხდება.

საჭიროა ქალაქის საბჭოს აღმასკომმა შეისწავლოს ეს საკითხი და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ რთულ მონაკვეთზე მიწისქვეშა გადასასვლელების მოწყობა. ეს ხელს შეუწყობს ქალაქის ტრანსპორტის ნორმალურ და შეუფერხებელ მოძრაობას, და, რაც მთავარია, თავიდან აგვაცილებს უბედურ შემთხვევებს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ მონაკვეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს მეტროს სადგურის ჩასასვლელები. სასურველი იქნება მიწისქვეშა გადასასვლელები დაუკავშირდეს მათ, რაც, თავის მხრივ, ძალიან მოხერხებული იქნება მეტროს მგზავრებისა და ქვეითებისათვის.

ა. თარხნიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

დამაარსებელი

1988 წელი — ჩვენი უნივერსიტეტის, ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის საიუბილეო წელია. ჩვენ ყველანი დიდი მღელვარებით და სიყვარულით აღვნიშნავთ ამ იუბილეს. მანამდე კი...

1938 წლის 25 მაისი.

თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იწყება ჩვენი უმაღლესი განათლების უპირველესი კერის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია.

დარბაზში შემოდის ივანე ჯავახიშვილი...

მან უნდა წაიკითხოს პირველი ლექცია „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის".

გაივლის რამდენიმე წუთი, დაცხრება ოვაცია და ხმაში შეპარული მღელვარებით, მაგრამ მაინც ჩვეული სიდარბაისლით იგი წარმოთქვამს პირველ სიტყვებს, პირველ წინადადებებს: „თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის დაწერა მე არასოდეს განზრახული არ მქონია. მოულოდნელად მიხდება ამ საკითხის შესახებ ლაპარაკი"...

ჩვენს ხელთ ახლა ამ გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერია. მისი სრული ტექსტი პროფესორ სერგო ჯორბენაძის მოთავეობით 1971 წელს გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში.

ყოველივე ამას — ამ ჩანაწერს, ზეპირად წარმოთქმულ სიტყვას — თავისი განსაკუთრებული მადლი და ხიბლი აქვს. ასე თითქოს უფრო ცხადად გესმის შენი დიდი წინამორბედის ხმა, ხედავ და გრძნობ, როგორ ეძებს და პოულობს იგი სიტყვებს, რომლებითაც გამოხატავს აზრს, ასე რომ აღელვებს და აფორიაქებს მის სულს. მშობელი ქვეყნისა და ხალხის, წარსულის, აწმყოსა და მყობადის წინაშე პასუხისმგებლობის როგორი გრძნობით არის განმსჭვალული, როგორი სისადავე და მოკრძალება, დიდი ადამიანური კეთილშობილება და თავმდაბლობა იგრძნობა მთელ სიტყვაში.

ყური მივუგდოთ ამ ხმას. იგი ერთი იმათგანის გულისთქმას გამოხატავს, რომლებზეც დიდი ილია ბრძანებდა: „ნეტავი იმასო — ამბობს ერთი ძველთაძველი ბრძენი, — ვინც არამცთუ ჩვენთან ყოფნით ჰვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისას სახელის ხსენებითაცო".

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის დაწერა მე არასოდეს განზრახული არ მქონია. მოულოდნელად მიხდება ამ საკითხის შესახებ ლაპარაკი, მოუმზადებლად. ჩემს ხელში არ არის ყველა ის საბუთი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო ამ საკითხის შესახებ დალაგებული მოხსენების წაკითხვა, ამიტომაც ჩემი დღევანდელი მოხსენება, ნამდვილი მოხსენების მაგივრად, მოგონება იქნება იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ოცი წლის წინათ მოხდა. ყოველივეს ზედმიწევნით მოგონება ძნელია, განსაკუთრებით, თუ გათვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გახურებული მუშაობის დროს არ სცალია ადამიანს მოვლენების აღბეჭდვისათვის და ბევრი რამ, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა ეხლა მაშინდელი ამბების აღდგენისათვის, აღბეჭდილი არ არის არსად; ადამიანის მეხსიერება მთლიანად ვერ იკავებს ყველაფერს ერთნაირად. ამიტომაც ერთი ადამიანის მოგონება, რასაკვირველია, სრული არ იქნება, შესაძლებელია, რომ სწორიც არ იყოს, შესაძლებელია ადამიანი შეცდეს, მაგრამ ზოგადად ვეცდები, რამდენადაც შესაძლებელია, მოვიგონო ის ბრძოლა, ურომლისოდაც ამ საქმის დაგვირგვინება ყოვლად შეუძლებელი იყო.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ მოგვეპოვება ცნობა 1799 წელს შედგენილი საქართველოს რეფორმების პროექტშივე. ეს პროექტი დამტკიცებული იყო და, ამ პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში სამი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო: ერთი თბილისში, ერთი გორში და ერთი თელავში. რასაკვირველია, ეს უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტი არ იყო, უნივერსიტეტის შექმნა მაშინ საქართველოს არ შეეძლო. იგი იყო ლიცეუმის მსგავსი, როგორც მაშინ გავრცელებული იყო უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად.

საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, როგორც აღნიშნული იყო კიდეც აქ თავმჯდომარის მიერ, არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, — რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, — არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შეიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, — თავრობის მიერ მოწვეული კი არა, — სადაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ყოფილა წარმოთქმული. მეტიც: ქართველ ინტელიგენციას, საყვედურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და, თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილად ან იმ დროს, როდესაც გერმანულ და ფრანგულ ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა.

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს, ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, — პოლიტიკური საკითხები გამუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა, — მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმდენად ბედნიერი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლო, მოკლებული იყო უმეტეს ნაწილად უფლებას — თავის სამშობლოში ემსახურა. მაშინ ისეთი წესი არსებობდა, რომ ქართველებს გზავნიდნენ სხვაგან, არაქართული მოსახლეობის აგვილას, ამგვარად, განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდეც ემოღვაწეა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო.

მე მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ფრიად დამახასიათებელი არის მაშინდელი მდგომარეობისათვის, რომ გაითვალისწინოთ, რამდენად დაკნინებული იყო მაშინ ქართული ენა. ამიერკავკასიაში განათლების საქმეს განაგებდა ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი. იმაზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას. მე მაგონდება ერთი ამბავი და, თუ გადაფურცლავთ გაზეთებს, იპოვით ასეთი ამბავის აღწერილობას: ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეებიც ქართველები იყვნენ. ჰკითხა (მოთხრობის მიხედვით, როგორც ისინი არჩევდნენ, — იმ მოთავრობაში იყო აღნიშნული „ვოდოპადი") — როგორ არის ქართულად „ვოდოპადიო". მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა. ჰკითხა მოწაფეს, მოწაფემაც ვერ უპასუხა. მაშინ თქვა: უცნაურია: ქვეყანაში, სადაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა, შეუძლებელია, არ იყოს სიტყვა, მისი გამომსახველიო, რამდენად ღარიბი უნდა იყოს ენა, რომ ასეთი სიტყვა არ იყოსო! ამის შესახებ მთელი გოდება იყო დაწერილი მაშინდელ ქართულ პრესაში, რომ ასეთ დაკნინებაში ვართ, რომ მასწავლებელს არ სცოდნია ასეთი რამ და ჩამოთვლილი იყო, რომ „ვოდოპადი"-სათვის მაშინ ქართულში არა ერთი სიტყვა არსებობდა, არამედ მრავალი: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით და სხვ.

აი, ეს დამახასიათებელია! თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არც ერთი ეს სიტყვა? არა. მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შეძლო და ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია, არათუ სიტყვა დაავიწყდეს, ენა დაავიწყდეს, — რომელიც მან კარგად იცოდა, — არამედ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგოს. სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ერთი შემთხვევა: ქალმა განაცხადა ჟინიანობის გამო, — იმიტომ რომ მშობლებმა არ აუსრულეს სურვილი, — ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო! ეს ამბავი მოხდა ამერიკაში. ოცი წლის შემდეგ, როდესაც მოიწვია თავისი მახლობლები და საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ მან აღასრულა ეს აღთქმა და ოცი წლის თავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მას მხოლოდ პირის და ტუჩების ამოძრავებაღა შეეძლო, მაგრამ არც ერთი ბგერა აღარ აღმოხდა, მოდუნებული ჰქონდა ის აპარატი, რომელიც მეტყველებას განაგებს.

ამგვარად, ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაევიწყა ინტელიგენციას ქართული ენა. რასაკვირველია, ხალხი, მასა, რომელიც ეროვნული განძის პირველი მატარებელია, განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე დედაენა აღარ იყო და უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ დაუკვირდებით ქართულ მწერლობას, — ბარათაშვილიდან დაწყებული — შეატყობთ, რომ ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, — ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ. ხშირად მათთვის ქართული გაუგებარი იყო, ისინი ფიქრობდნენ სხვანაირად. ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც შესაძლებელია დაარსდეს, და როდესაც თხოულობდნენ, ქართული უნივერსიტეტი დაარსდესო, ამ ნიადაგზე ბრძოლა წარმოებდა. ქართველების გარდა, ამ ბრძოლაში ჩაებნენ სომხები. ქართველები თხოულობდნენ უნივერსიტეტს, სომხები — პოლიტექნიკუმს. ეს, რასაკვირველია, მაშინდელი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, მას არც ერთი არ უნდოდა! როდესაც ორი მოქიშპე — კარგაი, ორივეს უარყოფს. ყოველ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იყო — რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადადებულიყო უნივერსიტეტის დაარსება. თუ რატომ იყო უნივერსიტეტის მომხრე ქართველი ინტელიგენცია და რატომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ სომხებს პოლიტექნიკუმი, ამის გარკვევას არ შევუდგები. არათუ ამის გამო წარმოებდა ბრძოლა, არამედ ადგილის გამოც: ნავთლუღში, ვაკეში თუ საბურთალოში! აქაც ქიშპობის მეტი არაფერი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი, და რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა შექმნილიყო ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია.

საყურადღებო გარემოებაა, რომ განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი ეცადა ორჯერ, თავისი მოღვაწეობა გადმოეტანა საქართველოში. მან, პირველმა, სცადა ქიმიის მეცნიერების გამოყენება და ორი საუცხოო ფუძემდებელი გამოკვლევა დაბეჭდა ქართულად. ამისდა მიუხედავად, ეს თავგამოდებული ადამიანი, რომელიც თავს ანებებს უნივერსიტეტს, სადაც პატივისცემით სარგებლობს, — ეს იყო ოდესაში, — ვერ ეღირსა ქუთაისში მაინც ლაბორატორია შექმნა და ამ ლაბორატორიაში ემუშავა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად. როდესაც ეს ვერ ჩაიშალა, მან სცადა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა. ოძისში უნდა დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რასაკვირველია, რუსული, სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქონებრივადაც უნდა დაქვეითებულიყო, ანებებდა თავს უნივერსიტეტს, — იქ იყო დამსახურებული პროფესორი, — გადმოდიოდა, ოძისში თანხმდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე. ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ, თქვენ აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო; თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს მაშინ გამოუვლია ჰქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს, განათლებულ ადამიანს სჭირდება როგორც მათემატიკიდან, ისე ფიზიკიდან და სხვა მეცნიერებებიდან სხვადასხვა ტერმინები, შესადარებლად თუ სხვა დებულების დასამტკიცებლად. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ან არ იყო, ან არ აგონდებოდათ. არსებობდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, ისიც კერძოდ შექმნილი: მ. ყიფიანის მიერ გეომეტრია იყო დაწერილი და შემდეგ ვ. ყიფიანის მიერ — ალგებრა. მე მახსოვს, გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვგრძნობდი, რომ ვერ ვახერხებდი სწავლას ისე, როგორც საჭიროა; როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას, შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამიჩემის მშვენიერი ბიბლიოთეკიდან წიგნს (ყველა წიგნი მოიპოვებოდა იქ, რაც კი კავკასიაში და საქართველოში იყო გამოცემული) და ვუზეპირებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა რუსულად შესათვისებელი, მინდოდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო. ქართული ენა არათუ სასწავლებელში და დაწესებულებებში იყო აკრძალული, არამედ თვით ქართველმა ინტელიგენციამ ისეთი პირობები შექმნა თავიდანვე, რომ ბევრს აღარ შეეძლო შინაურობაში ქართულად ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ სასწავლებლებში და დაწესებულებებში ქართული ენის აღკვეთა თვითმპყრობელური მთავრობის ბრალია, ის დანაშაული, რომელიც მეორე სფეროს ეხება, თვითონ ქართველი ინტელიგენციისავე დანაშაულია, და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე წოდებას, რომელიც გამარუსებელ გავლენას არათუ თავის წრეში ამტკიცებდა, არამედ ხალხშიც უნებლიეთ თუ შეგნებულად ავრცელებდა, დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი კულტურის განვითარება შეფერხებული იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი სულისკვეთება არსებობდა ჩვენში, რომ, თუ მთავრობა არ დაარსებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, გულხელდაკრეფილი შესცქეროდნენ ასეთ მდგომარეობას და უცდიდნენ, როდის გაიხსნებოდა თბილისში უმაღლესი სასწავლებელი.

აი, ასეთი მდგომარეობა გახლდათ, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით საშუალო სასწავლებელში და როდესაც გვიხდებოდა ყოფნა უმაღლეს სასწავლებელში. უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო მოვლენა იყო: სადაც კი ქართველი მეცნიერი გაჩნდებოდა რუსეთის რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში, იქ პატარა ბუდე გაჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა. ასე: ოდესაში ვასილ პეტრიაშვილმა ძლივძლივობით გაიკვლია გზა, მისი დატოვება უნდოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო. ვასილ პეტრიაშვილის დარჩენამ გამოიწვია, თავის მხრივ, პეტრე მელიქიშვილის დარჩენა. მას შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი გახდა კერა ქართველი ინტელიგენციისა. რასაკვირველია, ეს კერა რუსული სასწავლო მეცნიერებისა იყო, მაგრამ, ვისაც გული შესტკიოდა, შეეძლო იგი თავისი ხალხისათვის გამოეყენებინა, და ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლი დაუვიწყარი უნდა დარჩეს იმიტომ, რომ მან გაბედა პირველმა, ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.

რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებაო. 1917 წელს ამას გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არათუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეუძლია, დაწერა და გამოსცა კიდეც ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილს! მაგრამ ეს შეძლო ვასილ პეტრიაშვილმა, ვინაიდან გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ, თუ შენ ბედნიერი ხარ იმდენად, რომ დაწინაურდი და მეცნიერებას დაეუფლე, ვალდებული ხარ — შენი დაბეჩავებული ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენო შენი ცოდნა. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმოდა... გამოჩენილი მეცნიერი იყო [illegible] ნე,— სადაც ერთი გაჩნდებოდა, მის გარშემო მოიყრიდა ახალგაზრდობა თავს. ეს ამტკიცებს, რომ მეცნიერების წყურვილი არსებობდა. ამგვარად გაჩნდა კერა მოსკოვში, პეტროგრადში (ეხლანდელ ლენინგრადში), ხარკოვში, ნაწილობრივ თბილისშიაც. ყველაზე უკეთესად საამისო პირობები იყო მაშინდელ პეტერბურგში, სადაც უნდა შექმნილიყო ქართული მეცნიერებისათვის მტკიცე ნიადაგი. ამრიგად, თუ ცოტა მოგვიანებით დაგვირგვინდა საქმე, მე მგონია ეს იმ გარემოებას არ უნდა მიეწეროს, რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყო. ხელისშემწყობი პირობებისდა მიუხედავად, ჩვენი ღრმა რწმენით, ვისაც ნიჭი აქვს, ვისაც სიყვარული აქვს და ვისაც ხალხისადმი პასუხისმგებლობა ესმის, ყველაფრის გადალახვა შეუძლია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. როდესაც იმართლებენ თავს, რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყოო, ეს მთლიანად სწორი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაჭარბებულია, და მარტო რუსეთის ძველი მთავრობის ბრალი არ არის, რომ ჩვენი ენაც და სამეცნიერო მწერლობაც ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, — ჩვენი ინტელიგენციის ბრალიც არის, ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, რომლის ხელშიაც იყო სვე-ბედი ქართული კულტურისა.

რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმე გამოსწორებულიყო? პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება — ეს არის ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება — ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება, ამასთანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისათვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან, კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და განუვითარდა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა. ჩვენ უნდა გვცოდნოდა აგრეთვე ძველი მარაგი, რომელიც შექმნილი იყო ძველად. მე იმას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაკეთებული, მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რაც მე-19 საუკუნეში იყო მოპოვებული. გარწმუნებთ, რომ არსებობს არა ერთი თხზულება, რომელიც სამჯერ-ოთხჯერ დაიბეჭდა, მაგრამ ბევრმა არც იცოდა, რომ ოდესღაც გამოქვეყნებული იყო ესა თუ ის წიგნი. ამგვარი კულტურის ტრადიცია არ არსებობდა. ის ძვირფასი მასალა ხალხური შემოქმედებისა და სხვაგვარი მასალა, რომელიც უმთავრესად ქართულ გაზეთებში იყო გაფანტული, სრულიად უკვალოდ იკარგებოდა. ამრიგად, ამ მასალის გამოყენება შეეძლო ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ შეადგენდა თავისთვის ბიბლიოგრაფიას და შემდეგ ჩაიხედავდა, თუ დასჭირდებოდა. აი ასეთი, სრულიად შეუწყნარებელი, სავალალო მდგომარეობის გამო პეტერბურგის ქართულმა სამეცნიერო წრემ დაისახა ამოცანად, რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სრული ბიბლიოგრაფია შეედგინა (მთელი მე-19 საუკუნე — 1910 წ.-მდის).

ამგვარად, სამეცნიერო წრის მუშაობამ საშუალება მისცა ახალგაზრდობას დაეწაფებოდა მეცნიერებას თავის დედაენაზე და ამის ნაყოფი გახლავთ პირველი კრებული, რომელიც დაიბეჭდა. პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრის კრებული, რომელშიაც სხვადასხვა დარგების გამოკვლევები იყო დაბეჭდილი, დაწერილია სტუდენტების მიერ; ხელოვნების, ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის — ყველა ამ დარგის — შესახებ წერილებია მოთავსებული. ამგვარად, საქმე ნაწილობრივ გაიჩარხა.

რასაკვირველია, იბადებოდა კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ქართული უნივერსიტეტი შექმნილიყო, უნივერსიტეტის შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო ძალა გვყავდა თუ არა. ცნობების შეკრებამ გამოარკვია, რომ იყო პატარა უნივერსიტეტისათვის შესაქმნელი ძალა, იყო 30 კაცამდე გაფანტული სხვადასხვა უნივერსიტეტში. ეს მანუგეშებელი მდგომარეობა იყო, მაგრამ მსმენელები იქნებოდნენ? ვაითუ უნივერსიტეტი ცარიელი ყოფილიყო! უნდა გვცოდნოდა — რომელი, რა დარგი უფრო აინტერესებდათ.

ამ მიზნით 1910 წელს ჩატარდა აღწერა ყველა სტუდენტისა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამ აღწერამ კინაღამ მთელი საქმე ჩაშალა: დაიწყეს კვლევა — რა წრეა ეს წრე, რისთვის კრებენ ამ ცნობებს და მხოლოდ იმიტომ, რომ თვით უნივერსიტეტის გამგეობა შესაძლებელია პასუხისმგებელი გამხდარიყო, წრე გადაურჩა ამ საქმეს და უნივერსიტეტისათვის საკმაო ცნობები იქნა შეკრებილი. ამ წრემ დაამტკიცა, რომ საქართველოს 1000-ზე მეტი სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა დარგზე. 1000 სტუდენტი პატარა პროვინციული უნივერსიტეტისათვის სრულიად საკმაო იყო მაშინდელი დროისათვის. ამგვარად, მსმენელები გვყავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნიადაგო, უსაფუძვლო, სასაცილო ოცნებად ეჩვენებოდა ადამიანს, რომ ვინმეს გაებედა მაშინ და ეთქვა რაიმე ამაზე.

...1917 წელს რევოლუცია მოხდა. რევოლუციის დაწყებისთანავე დაიბადა იმედი, რომ კერძო სასწავლებლის სახით მაინც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანს ეზრუნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. თებერვალში ერთი პირის კერძო ბინაზე (ეს თვითონ ივანე ჯავახიშვილის ბინაა — რედ.) მოწვეული იყო პირველი თათბირი ამ საკითხის განსახილველად. ამ თათბირის მონაწილენი აქ ბრძანდებიან (საზეიმო სესიას ესწრებოდნენ მარტის პირველ რიცხვებში პეტერბურგში ჩატარებული თათბირის მონაწილენი — აკაკი შანიძე და შალვა ნუცუბიძე. რედ.) და ამ თათბირზე გადაწყდა, რომ აუცილებლად უნდა გვეცადა, კერძო სასწავლებლის სახით მაინც გაგვეხსნა უმაღლესი სასწავლებელი. ამ გადაწყვეტილებას ის ჯგუფი არც ისტორიულად ითვალისწინებდა და არც უფიქრია, რომ დიდ საქმეს აკეთებდა...

დიახ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეიძლებოდა გაფართოებული წრის მოწვევა, ვინც საქართველოში იყვნენ მეცნიერები. მათთან ერთად, მათ შორის, შემთხვევით პეტრე მელიქიშვილიც ბრძანდებოდა თბილისში, უმაღლეს კერძო კურსებზე იყო მოწვეული. ამ აიისის წყალობით იმავე 1917 წლის 12 მაისს მოწვეული იყო საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენება იყო წაკითხული იმის შესახებ, რომ საჭიროა კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსება თბილისში. უნდა ითქვას, რომ აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ამ ამბავს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტის მაგივრად სჯობდა სპეციალური სასწავლებელი დაარსებულიყო. პრაქტიკული მიმართულება უკეთესი არისო. ამ 12 მაისის სხდომას მოჰყვა 17 მაისის ასეთივე საჯარო სხდომა ქუთაისში. ქუთაისში უფრო მეტი აღმოჩნდა პოლიტექნიკუმის მომხრე და უფრო გაცხარებული ბრძოლა წარმოებდა. თბილისში და ქუთაისში არჩეული იყო კომიტეტი, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია ამ აზრის გატარებისათვის. დაარსდა ე. წ. თბილისის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. დაიწყო მუშაობა. პირველი კრების აღფრთოვანებამ, აღგზნებამ ცოტა ფულიც შესძინა ამ აზრს, მაგრამ შემდეგ, როგორც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთოვანება როგორღაც გახელდა. უგულობა ცხადად იგრძნობოდა, ამ გამგეობის კრებები იშლებოდა ხოლმე. გულახდილად მოგახსენებთ, კრებები დიდი დაგვიანებით იმართებოდა. ისეთი დიდი დამსახურებული მეცნიერი, როგორც მელიქიშვილი იყო (საერთოდ, მეცნიერები მიჩვეული არიან წესიერ სხდომებს) და სხვა მონაწილეები, უნდა მოგახსენოთ, იშვიათად ესწრებოდნენ სხდომებს. არ ეტყობოდა, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც პირველ კრებაზე იყო, ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. მე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენთვის გასაგები იყოს, შემდეგ რაც მოხდა.





დადგა დრო, როდესაც ეს იდეა პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო. დროებითი მთავრობა იყო. წესდება უნდა წარგვედგინა. წესდება დაიწერა. ვთხოულობდით უმარტივეს რაიმე უმაღლესი სასწავლებლის გახსნას...

...გამოირკვა, რომ დროებით მთავრობას გადაეწყვიტა თბილისში გაეხსნა მთავრობის უმაღლესი სკოლა. ტელეგრამა გავგზავნეთ, გვაცნობეს — კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ფოსტით შეგატყობინებთო. ფოსტით გამოგზავნილი ჩვენ არ მიგვიღია. მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია და უკვე მათი ნებართვა არ იყო საჭირო. შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდა (ტაში).

აი, ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც უნივერსიტეტის დაარსებაზე პრაქტიკულად დაისვა საკითხი. შეტანილი იყო ეროვნულ საბჭოში განცხადება, რომ, აი, იხსნება კერძო სასწავლებელი, რაიმე ქონებრივი დახმარება მიეცით ამ უმაღლეს სასწავლებელსო. მე მახსოვს, რა გაცხარებული კამათი იყო მაშინ, საბჭომ უარყო — ჩვენ მაგისთვის ფული არ გვაქვსო. ფული არ აღმოჩნდა! მოწვეული იყო დამხმარე საზოგადოების კრება. ამ დამხმარე საზოგადოების კრებაზე რომ გაიგეს, ასეთი უარყოფითი პასუხი იყო მიღებული ეროვნული საბჭოსაგან, დაფრთხნენ — ჩვენ საიდანღა გავიღოთ ფულიო. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა ჩაშლილიყო საქმე, ჩვენ არ ვკისრულობთ, პირდაპირ ნათქვამი იყო; ვერ ვკისრებთ პასუხისმგებლობას, რომ უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნასო. ცოტა ფული, მართალია, იყო, მაგრამ ეს ფული მოხმარდებოდა მხოლოდ ჯამაგირს. ბინაც არსებობდა, განსვენებული ცხვედაძის მიერ აშენებული გიმნაზიისათვის, საკმაოდ დიდი და გამოსადეგი უნივერსიტეტისათვის. შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი.

შენობა იყო, მაგრამ თავისუფალი იყო მხოლოდ ზემოთა სართული. ამ ზემოთა სართულში მოთავსებული იყო სავავადმყოფო (ლაზარეთი). რასაკვირველია, ლაზარეთი დაიშალა. დარჩა სრულიად ცარიელი, გაპარტახებული ზემოთა სართული... ავეჯი არა გვქონდა, განათება არ იყო, არც გათბობა. მუშაობა უნდა დაგვეწყო იანვარში, ფული იყო საჭირო. ის ფული, რაც გვქონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯს და გათბობას, რაც აუცილებელი იყო. ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ადამიანმა ყოველგვარი სასოება დაკარგოს. იმ დროს უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ კმარა პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების გამგეობისა და, ამგვარად, საქმე უნდა ჩაშლილიყო. მაშინ იმ პატარა ჯგუფმა (იგულისხმება პატრიოტ მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა — რედ.). სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას, ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი. ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და, ამგვარად, გაიხსნა უნივერსიტეტი.

26 იანვარს შედგა პირველი საზეიმო სხდომა. საკმაოდ გულცივად შეხვდა მაშინდელი მენშევიკური მთავრობა უნივერსიტეტის გახსნას. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი არ ყოფილა გახსნაზე: იყო მხოლოდ ერთი წევრი საკუთარი თაოსნობით. ამგვარად, მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას ეს ჯგუფი, რომელსაც უხდებოდა ასეთი მძიმე და პასუხსაგები საქმის დაწყება. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქმე შესაძლებელია კატასტროფით დამთავრებულიყო და გამკილავი ჩვენში ბევრი მოიძებნებოდა მაშინ: ვაი იმათ, თუ მართლაც ასე წავიდოდა საქმე! ქუჩებში, გოლოვინის პროსპექტზე (მაშინ გოლოვინის პროსპექტი ეწოდებოდა) ბევრი ქართველი ინტელიგენტი დაბრძანდებოდა, რომელიც დაცინვით იხსენიებდა ამ საქმეს; აი რაღაცას ბორძიკობენ და მაშინ გაიგებენ ამ საქმის უსარგებლობას, როდესაც პირველ ლექციას ვერ წაიკითხავენო.

ამგვარად, 26 იანვარს, როდესაც გაიხსნა პირველი საზეიმო სხდომა, აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც აღინიშნა, ძალაუფლების მქონებელი წრეები ცივად შეხვდნენ მას. მხოლოდ რკინიგზის მუშების დელეგაცია მოვიდა წითელი დროშით (მხურვალე ტაში. ფეხზე დგებიან).

საზეიმო სხდომის შემდეგ ჩვენ ლექციები არ დაგვიწყია იმიტომ, რომ განათება არ გვქონდა და არც ავეჯი იყო მზად, მხოლოდ პირველ თებერვალს დავიწყეთ ლექციების კითხვა. ლექციები საღამოობით მიმდინარეობდა. ჩაეწერა 500-მდე კაცი და ქალი, როგორც ახალგაზრდები, ისე ხანშიშესულები. რაც ყველაზე უფრო საინტერესო იყო, პირველ ქართულ უნივერსიტეტში ჭაღარა ხალხს ნახავდით. ნახავდით ისეთებსაც, რომელთაც უნივერსიტეტი გათავებული ჰქონდათ, დიპლომიც მიღებული, მაგრამ უნდოდათ, რომ დედაენაზე მოესმინათ ლექციები.

ეხლა უნდა ითქვას, რომ იმ დაბრკოლების გარდა, რომელიც საქმეს ართულებდა, გაცილებით უფრო დიდი დაბრკოლება გველობებოდა წინ უნივერსიტეტის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებით. ის პირები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ და რომელთაც დაიწყეს ლექციების კითხვა, კარგად იყვნენ მომზადებულნი იმდენად, რომ ქართულად თავისუფლად შეეძლოთ ლექციების წაკითხვა, მაგრამ შემდგომში როგორ იქნებოდა საქმე, სად იყო ის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდ ლექციების კითხვა არ შეიძლებოდა! აი, ეს დაბრკოლებები და, თუ გნებავთ, მთავარი საბუთი, რომელიც მოწინააღმდეგეებს ხელთ ჰქონდათ და პირში ბურთივით სჩრიდნენ ყოველ ჩვენთაგანს!

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ უსაფუძვლო არ იყო ის შიში, რომელიც არსებობდა, და ადვილი საქმე არ იყო იმ პირველ სიძნელეზე უფრო ძნელი გადასალახი. რასაკვირველია, გულგრილობაზე საშინელი არაფერია და ეს გულგრილობა იყო მიზეზი იმისა, რომ ასე უცნაურად მოხდა ამ ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება: მარტო მხურვალე გულით არ კეთდება საქმე! ცოდნა საჭირო მეცნიერებისა. უმაღლესი სასწავლებელი უნდა ჰგავდეს უმაღლეს სასწავლებელს. ის უნდა წარმოადგენდეს მართლაც მეცნიერების მწვერვალს და როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს, როდესაც ჩვენ საშუალო სასწავლებლისთვისაც არ გვქონდა მომზადებული ტერმინოლოგია. ჯერ ტერმინოლოგია უნდა შეგვექმნა. როდის შეიქმნებოდა ტერმინოლოგია? ამას შეიძლება ორი ათეული წელიწადი მოსდომებოდა. თუ მეცნიერები თავმოყრილი არ იქნებოდნენ, ვის უნდა გაეკეთებინა ეს საქმე? აი, სიძნელე მეორე, რომლის გადალახვაზე იყო დამოკიდებული მთელი საქმის ბედ-იღბალი. ამას ყველა მონაწილე გრძნობდა, ამის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ჩვენი მსმენელებიც. წინადადება მივეცით მათ, შესდგომოდნენ მუშაობას (უსასყიდლოდ, იმიტომ რომ სხვა საშუალება არ გვქონდა), რომ ფიზიკაში, ქიმიაში რაც კი რამ არსებობდა, ტერმინოლოგია ამოეკრიბათ.

მთელი სემესტრის განმავლობაში ორ ათეულზე მეტი უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული მუშაობდა ამ მიმართულებით... ასე შეიქმნა სახელდახელო შეთანხმებაზე დამყარებული ტერმინოლოგია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგია ერთგვარია ყველგან — საშუალო სასწავლებელშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც. როცა საშუალო სკოლიდან შემოვლენ უმაღლეს სკოლაში, მათთვის უცნობი არ იყოს ეს ტერმინოლოგია. შემდეგში დაარსდა სატერმინოლოგიო კომიტეტი, სამეცნიერო საბჭოები სხვადასხვა სახელწოდებებით, მუშაობა გრძელდებოდა, სატერმინოლოგიო საქმე თანდათანობით უმჯობესდებოდა და ჩამოყალიბდა სამეცნიერო ტერმინოლოგია, რომელმაც როგორც საშუალო სკოლას, ისე უნივერსიტეტს უშუალოდ მისცა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების შესაძლებლობა.

მე აღარ შეგაწუხებთ ჩემი მოგონებით და მოკლედ კიდევ გეტყვით, თუმცა ბევრი რამის თქმა შეიძლება.

პირველი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტი კერძო დაწესებულება იყო. წინასწარმეტყველებისდა მიუხედავად, რომ ეს უნივერსიტეტი დაიკეტებოდა იმიტომ, რომ არც ძალები იყოლიებოდა და არც მსმენელები, არც ენის ამოღების უნარი აღმოაჩნდებოდათ, უნივერსიტეტი არათუ არსებობდა, არამედ ფართოვდებოდა. აი, ამ დროს, მხოლოდ მეორე სემესტრის განმავლობაში, მთავრობამ გამოაცხადა, რომ ჩვენ დავაარსეთ სახელმწიფო უნივერსიტეტიო. ეს სწორი არ იყო. უნივერსიტეტი არსებობდა, მას დაარსება არ სჭირდებოდა, არსებულის დაარსება არ გაგონილა. (სიცილი), ამგვარად, ისტორიულადაც და ფაქტიური თვალსაზრისითაც სწორი არ იყო ის განცხადება.

მოკლედ მოგახსენებთ, აგრეთვე, რატომ იყო, რომ ერთი ფაკულტეტი დაარსდა და რატომ იყო, რომ მას ეწოდებოდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. მე ამას მოგახსენებთ იმიტომ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საწინააღმდეგო მოხსენებაში (რუსეთში რომ იყო) ნათქვამია, რომ ჩემულობენ გერმანული უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებსაო და, აბა, მაგისთანა უნივერსიტეტს როგორ შექმნიანო! მე უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი კავშირი ამ გერმანული უნივერსიტეტის პროგრამებთან არ ყოფილა. არსებითად ეს გამოწვეული იყო მიზანშეწონილობით. ჩვენ ცალკე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის, ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა არ შეგვეძლო, [illegible] გვყავდა და ერთი [illegible] ლი ფაკულტეტის [illegible] ძალა მოიპოვებოდა. სისულელე იქნებოდა, რომ ჩვენ სამი ფაკულტეტი შეგვექმნა, გამოგვეცხადებინა, რომ სამი ფაკულტეტი გვაქვსო, და სისულელის გარდა მოტყუება იქნებოდა. სამაგიეროდ, ამ ფაკულტეტს რაიმე სახელი ხომ უნდა ჰქონოდა! რა უნდა გვეწოდებინა? „სიბრძნისმეტყველება" ვუწოდეთ და მერმე, როდესაც გაფართოვდა, ფაკულტეტი გაიყო. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაში მარტო გერმანიის უნივერსიტეტის მაგალითით არ ვხელმძღვანელობდით. იმ დროს, უნდა მოგახსენოთ, გერმანიის უნივერსიტეტი ყველაზე მაღლა იდგა, — რომ მიგვებაძა, არაფერს სასირცხვოს არ წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც შემდეგში დაგვჭირდა აგრონომიული ფაკულტეტი და პოლიტექნიკური, ასეთი გერმანიას არ მოეპოვებოდა, ამერიკის გარდა, შეიძლება ადამიანს ეთქვა, ამერიკას ბაძავთო. არაფერი მიმბაძველობის მსგავსი არ ყოფილა მაშინ, მიზანშეწონილობის გარდა. შემდგომ გაიზარდა ჩვენი უნივერსიტეტის ფაკულტეტები, ცალკე ინსტიტუტებად გამოიყო სამკურნალო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ამგვარად, მრავალი უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა ისეთ ადგილას, სადაც წინათ ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა. იმ პროექტში კი ნაგულისხმევი არ არის, ქუთაისში რომ შეიქმნებოდა უმაღლესი სასწავლებელი, მაშინ, მე მგონია, ძალიან გამბედავი კაციც ვერ იკისრებდა ამ ამბავს.

ამგვარად, შესაძლებელი შეიქმნა მომზადებულიყო ის სამეცნიერო ძალა, კადრები, რომელთაც გაფართოებულ საქმეს მისცეს მსვლელობა. ქონებრივად, რასაკვირველია, უნივერსიტეტი ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, ისე გაიზარდა, რომ წინათ ამაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო. ეხლა რა დაგვრჩენია, მეცნიერები გამარჯვებული ვართ ყოველმხრივ. ოცი წლისთავის გადახდა კარგი დღესასწაულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთნი ფიქრობდნენ. — უნივერსიტეტი ოც დღესაც ვერ გაძლებსო. მაგრამ მაინც ბევრი რამ გვაქვს წინ: ყველაზე უფრო რთული ამოცანა ის ამოცანაა, რომელზედაც ამ ბოლო დროს მთავრობისა და პარტიის უმაღლეს ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიქცეული.

თქვენ წაკითხული გაქვთ საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს კადრების მომზადებას. ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია. ძველი თაობა, რომელიც იწყებდა ამ საქმეს, სანახევროზე მეტად ახალგაზრდობისაგან შედგებოდა. მათ გვერდში ამოუდგნენ თვით ამავე უნივერსიტეტში სწავლადამთავრებულები, რომელთაც შეძლეს არათუ მეცნიერული დისციპლინების სწავლება, არამედ ხელი შეუწყვეს მეცნიერების გაფართოებას. ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა". უნდა იზრუნოს ძველმა თაობამ, რომ ტურფა საბალნარო ტურფა საბალნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არათუ არ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან. აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ამას, რასაკვირველია, ყოველი წევრი, რომელიც კი უმაღლეს სასწავლებელში მუშაობს, შეალევს მთელ თავის ძალღონეს. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, კადრების მომზადების შესაძლებლობა მარტო მასწავლებლების საკითხი არ არის, თვითონ ასპირანტებმა უნდა შეიგნონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აწევთ, — უნდა ესმოდეთ, რომ მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს მათ შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც (მხურვალე ტაში).

სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია. აი, ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს, მკვდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მიკვდინებული იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ასეთ მოკლე პერიოდში? განა შესაძლებელია, რომ ეს მომხდარიყო? ცხადია, არა, მაგრამ მომავალში თანდათანობით გამოსწორდება ყველა ნაკლი, თუკი სიყვარული და შეგნება არ უღალატებს არასოდეს იმ ახალგაზრდას, რომელმაც ძველი თაობისაგან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა და თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ პირობებში აყენებენ ეხლა ასპირანტებს. ჩვენს დროში სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ასე უხვად იქნებოდა სტიპენდიები და ახალგაზრდები ასე ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობთ, უნდა მოგახსენოთ, არ მჭიროდა და არც ეხლა მჭირა; ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე.

ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადაწყვეტს — მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერისი პირობები მეცნიერული მუშაობისათვის (მქუხარე ტაში).

უცხოეთში

საქდესი იუწყება
8 იანვარი

◆ ბულგარეთი

გარდაქმნის გარდამტეხი წელი

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ზოგიერთი ღონისძიება, რათა საზოგადოებრივი პრაქტიკა შეუსაბამონ ახალ ობიექტურ პირობებსა და მიდგომას, რომელიც გამომდინარეობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან და შარშან დეკემბერში გამართულ ეროვნულ თათბირზე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის გამოსვლიდან.

დაწყებული წელი, ნათქვამია აქ გავრცელებულ ცნობაში, არის გარდამტეხი წელი, ეკონომიკაში პრაქტიკული გარდაქმნის ეტაპის დასაწყისი. ამ ეტაპზე გადასვლა, აღნიშნულია დოკუმენტში, ნორმატიულად მომზადებულია. აშკარაა ახალი სიტუაცია, რომელიც უკავშირდება ეკონომიკური რეგულატორების მოქმედებას, შრომითი კოლექტივებისათვის სოციალისტური საკუთრების გადაცემასა და თვითმმართველობის პროცესში უშუალოდ მწარმოებელთა როლის გაზრდას. მზად ვართ პრაქტიკული მოქმედებისათვის, რათა წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წელს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმა.

უშიშროების საბჭოში

ლიბანის მოთხოვნა

ნიუ-იორკი. ლიბანმა ითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე ხუთშაბათს გავრცელებულ წერილში ამ ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რ. ფაჰური მისი მოწვევის საჭიროებას ასაბუთებდა იმით, რომ ისრაელის საოკუპაციო ძალები განაგრძობენ აგრესიის აქციებს ლიბანში".

იმავე დღეს მან წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელშიც გააცნო საერთაშორისო გაერთიანებას 2 იანვარს ისრაელის აგრესიული აქციის შედეგები, რის გამო დაიღუპა 26 კაცი, არის ათობით დაჭრილი, მიყენებულია დიდი მატერიალური ზარალი.

ისრაელი, რომელმაც ეს ღამის თავდასხმა მოაწყო „ლიბანში პალესტინის წინააღმდეგობის ბაზებისათვის დარტყმის მიყენების" საბაბით, ნათქვამია წერილში, ცდილობს რაც შეიძლება დიდი ზარალი მოგვაყენოს. და როგორც ყოველთვის, თავდასხმას შეეწირნენ უმთავრესად უდანაშაულო სამოქალაქო პირები, ქალები და ბავშვები, ლიბანელები და ის პალესტინელები, რომლებმაც თავშესაფარი ლიბანში პოვეს.

● აშშ

ჯ. შულცის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი. მიმდინარე წელს ბევრი სამუშაო გველის, განაცხადა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა 1988 წელს გამართული თავისი პირველი პრესკონფერენციის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის სფერო და, უწინარეს ყოვლისა, მოსკოვში დაგეგმილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრისათვის მზადება. ამერიკის შეერთებული შტატები იმუშავებს შეხვედრის ორივე მხარისათვის მისაღებ დღის წესრიგზე. როცა უპასუხა შეკითხვას, როგორ ჭვრეტს ამერიკის შეერთებული შტატები ისეთი პრობლემის გადაჭრას, როგორიც არის „კვანძი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის სახით", რომელიც აქამდე ხელს უშლიდა შეთანხმების მიღწევას შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შესახებ, შულცმა თქვა, რომ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ მოლაპარაკების დროსაც იყო წინააღმდეგობანი, რომლებიც დაუძლეველი ჩანდა, მაგრამ ამის მიუხედავად ხელშეკრულება დაიდო.

შულცმა უარი თქვა დაეგმო ისრაელის მხედრიონის ტერორი ოკუპირებული არაბული მიწების მოსახლეობის წინააღმდეგ. მან მხოლოდ თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ურთიერთობა „ურყევია". „ზოგიერთი პრობლემა, რა თქმა უნდა, არის", თქვა მან, და „ჩვენ მათ ვწყვეტთ".

● მანაგუა. 4 ათასამდე ნიკარაგუელი ინდიელი, რომლებიც ძალითა და მოტყუებით გარეკეს მეზობელ ქვეყნებში, უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე სამშობლოში დაბრუნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს დახმარებით.

● ნიუ-იორკი. ახალ წელს გამართულ პირველ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლმა სპეციალურმა კომიტეტმა თავის თავმჯდომარედ ხელახლა აირჩია ჯოზეფ გარბუ (ნიგერია). არჩევის შემდეგ გამოსვლისას მან აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი სავალდებულო სანქციების შემოღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

● პარიზი. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟაკ-შირაკმა კვლავ დაუჭირა მხარი ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მშვიდობიან მოწესრიგებას პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა ცნობის საფუძველზე. მან თქვა, რომ ამ რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ცნობენ პალესტინელთა კანონიერ უფლებას თავად წყვეტდნენ თავიანთ ბედს.

ფოტოფაქტი

მსოფლიოში უდიდესი

ინდოეთი. მსოფლიოში უდიდესი ვერცხლის ნაწარმი — ასეა დახასიათებული „გინესის რეკორდების" წიგნში ეს ქურქელი. ახლა ისინი ინახება ქალაქ ჯაიპურის მუზეუმში. გიგანტური დოქები (სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი მათგანი) დამზადებულია ადგილობრივი მაჰარაჯის სავაი სადჰო სინგჰის შეკვეთით ინგლისში სამოგზაუროდ. საქმე ის არის, რომ ინდუისტური ქურუმების კომპრომისული გადაწყვეტილებით, მაჰარაჯას არ გაუწელდებოდა ინდუიზმისადმი ერთგულება ინდოეთის ფარგლებს გარეთ მოგზაურობისას იმ პირობით, თუ საზღვარგარეთ ყოფნის მთელ მანძილზე იგი მხოლოდ მდინარე განგის ნაკურთხ წყალს დალევდა. ქურქლის დამზადება დაიწყო ცნობილმა ოსტატმა გოვინდ ნარაინმა 1886 წელს და 20 თვეში დაამთავრა. ვერცხლის ქურქლის სიმაღლეა 160 სანტიმეტრი, თითოეული იწონის 808 კილოგრამს. მათ დამზადებაზე დაიხარჯა 57 ათასზე მეტი ვერცხლის მონეტა.

რეპორტაჟი ნომერში

ძნელად ასახსნელი, გამომწვევი საქციელი

ამ სახლში თავდაპირველად 61 ბინა იყო, მაგრამ მერე 6 ბინა გაერთიანდა, გაუქმდა 8 ერთოთახიანი ბინა.

რა მოსაზრებით? იმიტომ, რომ გამოჩნდნენ ბინების გაერთიანების, გაფართოების მსურველები. სამზარეულო, აბაზანა და ლოჯი, როგორც ცნობილია, საცხოვრებელ ფართობში არ ითვლება, გაერთიანებულ ბინაში კი გადაკეთების შემდეგ ოთახი ოთახს ემატება.

წელიწად-ნახევარზე მეტია ბინის ორდერები დაარიგა აღმასკომმა, 18 მობინადრეს კი დღემდე არ დაუკავებია გამოყოფილი ბინა. იმათ, ვინც ორდერის მიღებისთანავე შესახლდა ბინებში, მოსვენება აღარა აქვთ განუწყვეტელი გრიალის, კაკუნის, ნგრევის ხმაურისაგან.

ყოველივე ეს ხდება ენგურის ქუჩაზე, იმ შენობაში (№ 8), რომელიც აშენდა როგორც სანიმუშო და კეთილმოწყობილი სახლი.

მართლაც, ყველაფერი ასე იყო გათვალისწინებულიც და გაკეთებულიც, მაგრამ მობინადრეთა ნაწილი მეტად პრეტენზიული გამოდგა: ან არ დააკმაყოფილა მშენებლობის ხარისხმა, ან თავიდანვე სთხოვა მშენებელ ორგანიზაციას — ბოლომდე ნუ მიიყვანდა საქმეს ცალკეულ ბინებში, რადგან მათ შემდეგ საკუთარი გემოვნებით დაამთავრებდნენ.

და აი, ამ გემოვნებითა თუ უგემოვნობის ფანტაზიით შენებას ზღვარი აღარ დაედო.

იმ ცამეტ მობინადრეთა გადაწყვეტილებას კი, აგერ წელიწად-ნახევარზე მეტია რომ არ უფიქრიათ ახალ ბინებში გადასვლა, სახოებით ელოდებიან ადამიანები, რომლებიც მათს ძველ ბინებში უნდა შესახლდნენ, ისინი, ვისაც მართლა აწუხებს სივიწროვე, უბინაობა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები.

გუშინ საბურთალოს რაიონის აღმასკომის სხდომაზე განიხილეს საკითხი ამ საცხოვრებელ სახლში ჩაწერილ მოქალაქეთა მიერ ბინების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

18 გაფრთხილებული მოქალაქიდან, რომლებიც საცხოვრებლად ჯერ კიდევ არ გადასულან აღნიშნულ სახლში, აღმასკომის სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ ორი: ვ. ზურაბიშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჟამად მართვის ინსტიტუტის დოცენტი, და ო. ველიაშვილი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

ამათ თავის მართლება... პასუხსაგებ თანამდებობაზე ნამუშევარ, სერიოზულ ადამიანებს არ შეშვენით იმის მომიზეზება, რომ არავის უთქვამს და არ ვიცოდით, აუცილებელი თუ იყო ახალი ბინის დროულად დაკავებაო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბინების ორდერები გასცა კალინინის რაიაღმასკომმა. ბინების განაწილების დროს კი, როგორც ჩანს, მოხდა საბინაო კოდექსის უხეში დარღვევები, არ იყო დაცული ერთ სულზე დადგენილი ფართობის გაცემის წესი. ამიტომ 3 სულზე 56 კვადრატული მეტრი მიიღო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგემ ა. გაბისონიამ, 3 სულზე 65 კვადრატული მეტრი — საქაგრომრეწვის თანამშრომელმა ა. ბარისაშვილმა, 3 სულზე — 74 კვადრატული მეტრი (სამოთახიანი და ერთოთახიანი ბინები) — საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ნანეიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა თვითნებურად გადაუჭრა წყლის გაყვანილობა და სანიტარიული კვანძი მეზობლებს და სხვა ადგილას გადაიტანა, რითაც მობინადრეთა უკმაყოფილება გამოიწვია.

რა დასანანია, რომ იმ ცამეტი მობინადრის შორის, რომელთაც ასე არ აწუხებთ სხვისი ბედი და ჯერ კიდევ არ გადასულან ახალ ბინებში, ის ადამიანები არიან, რომელთაც უჭირავთ პასუხსაგები პოსტები, ევალებათ ადამიანებზე ზრუნვა და ვალდებული არიან ყოველმხრივ გაუწიონ ანგარიში მათს მოთხოვნილებებს. ესენი არიან: სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი დ. ქართველიშვილი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი გ. კობეშავიძე, გაერთიანება „საქკვებმანქანის" უფროსი გ. ცინცაძე, წარსულში თუ ახლა პასუხისმგებელი მუშაკები ზ. იობაშვილი, ნ. ნიჟარაძე, და სხვები.

სხვებისა რა მოგახსენოთ, და იმათ, ვისაც ამდენი ხანი, იოლად მისახვედრი მიზეზების გამო, სულაც არ ედარდება, როდის დაიდებენ ბინას ახალი სახლის ჭერქვეშ, თავიანთი ადრინდელი თუ ახლანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, ხომ ზედმიწევნით მოეხსენებათ, ჯერაც რაოდენ მწვავედ დგას ჩვენში საბინაო პრობლემა, როგორ უჭირს ბევრს, საკმაოდ ღვაწლმოსილსა და ამაგდარ ადამიანს თუ მრავალშვილიან ოჯახს. მით უფრო ძნელად ასახსნელი და გულდასაწყვეტია მათი, მეტი რომ არა ვთქვათ, გამომწვევი საქციელი.

ელემენტარული ამბავია: თავმდაბალი და ღირსეული პიროვნება სრულიად დამსახურებულ საზღაურსაც კი ერთგვარი მორიდებით იღებს მაშინ, როცა ხედავს, რომ ის, რაც მას ერგუნეს, სხვებისთვისაც უღრესად საჭიროა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველას ვერ გასწვდება.

განა მეტად დამაფიქრებელი არ არის ის, რომ ბევრს თანდათან ჩაგვიკვდა ჭეშმარიტი თავმდაბლობის გრძნობა, დავკარგეთ პატივისცემა საყოველთაოდ მიღებული წესების, თვით კანონების მიმართაც კი.

აი, ახლაც, აღმასკომის ამ სხდომაზეც, მოხვლა ითაკილა უმრავლესობამ. ზოგს იმის განცხადებაც კი არ მოერიდა, უხერხულია, მე რომ აღმასკომის თავმჯდომარის მოსაცდელში დამინახოს ვინმემ!

მრავლისმეტყველი დეტალია.

სახალხო ხელისუფლება, საბჭოთა კანონი და სამართალი ყველასათვის საერთო და სავალდებულოა.

პირდაპირ უნდა ითქვას: უკანმოუხედავად წავიდა ის დრო, როცა მავანსა და მავან თანამდებობის პირს გაუთავებლად გუნდრუკს უკმევდნენ.

ამ აზრს ერთხელ კიდევ ადასტურებს საბურთალოს რაიაღმასკომის გუშინდელი სხდომაც, რომელმაც მიიღო დადგენილება — აღძრას სარჩელი რაიონის სახალხო სასამართლოში იმ პირების ფართობზე უფლებადაკარგულად ცნობის შესახებ, რომლებიც დღემდე არ გადასულან საცხოვრებლად ზემოთ აღნიშნულ სახლში. სასამართლომ თავისი საქმე იცის. მის გადაწყვეტილებას ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, მაგრამ ერთი რამ კი შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ: წესი და რიგი ყველასათვის ერთია, როგორი დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს ვინმეს, ზნეობა — ყველასათვის ზნეობაა.

ჯ. ნადარეიშვილი,
თ. სურამელი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

სიყვარულის წილ...

გიორგი ზედგინიძე მწერალი და ბორჯომის ხეობის სიძველეთა დაუღალავი მკვლევარია.

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს მის პროზაულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს. დიდი წვლილი მიუძღვის მწერალს მესხეთ-ჯავახეთის ბევრი ისტორიული ძეგლის მეცნიერულ შესწავლაში.

ახლახან ბორჯომში გამართული მწერლის შემოქმედებითი საღამო თანამემამულეთა დიდი სიყვარულის ჭეშმარიტი გამოვლინება იყო.

მწერლის შემოქმედებაზე, მის ღვაწლზე კულტურის ძეგლთა შესწავლასა და დაცვაში ილაპარაკეს მწერლებმა და პოეტებმა რევაზ ჯაფარიძემ, ჯემალ ინჯიამ, ნოდარ ჯალაღონიამ, ბორჯომისა და ახალციხის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლებმა.

▼ ▼

ახალი სპექტაკლები

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულმა დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ორი ახალი დადგმა — „წიწამურის გზაზე", რომელიც ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავს მიეძღვნა, და თანამედროვე აფხაზი მწერლის შ. აჭინჯალის პიესა „ჩემი როლი", რომელშიც სატირისა და იუმორის საშუალებით მხილებულია ნეგატიური მოვლენები, ნაჩვენებია ობივატელები, წვრილმანი, მეშჩანური ინტერესებით შეპყრობილი ადამიანები. სპექტაკლი დადგა ზ. მიქავამ.

სპექტაკლი „წიწამურის გზაზე", რომლის ლიტერატურული კომპოზიციის ავტორია გ. კვარაცხელია, დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა გ. ქავთარაძემ.

▼ ▼

გმირის სახლ-მუზეუმში

თბილისის კალინინის რაიონის საბინაო ტრესტის პედაგოგ-ორგანიზატორების თაოსნობით საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ კანკავას სახლ-მუზეუმში თბილისის 47-ე, 42-ე და მესამე ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოეწყო საინტერესო თემატური დილა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაზე დევიზით „ვემსახურები საბჭოთა კავშირს, არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული".

დილაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს რაიონში მცხოვრები დემობილიზებული ახალგაზრდები, რომლებმაც ინტერნაციონალური მოვალეობა ავღანეთში მოიხადეს, აგრეთვე წვევამდელები, სამამულო ომის მონაწილეები.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი, წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, პატრიოტიზმზე, გმირის ცხოვრებაზე.

პიონერებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს სახლ-მუზეუმის ეზოში აღმართული გმირის ძეგლი და დედის ობელისკი.

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტების ი. გობეჩიას, დ. გერგიშვილის, მ. შარიქაძის, მ. გორგილაძის, ბ. ჩხაიძის, გ. ვაშაკიძისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა რ. მუხიგულაშვილმა.

სპორტი

სწორი ტაქტიკით რომ ეთამაშათ...

მოსკოვში, კაუნასსა და დონეცკში განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის დინამოელები, როგორც იცით, დონეცკში ასპარეზობენ, ამ ეტაპზე გუნდების მთავარი ამოცანაა რვა უძლიერესს შორის მოხვედრა. ჩვენს კალათბურთელებს ქულათა საკმაო მარაგი აქვთ, მაგრამ ახლა ყოველი მატჩის შედეგს კონკრეტული მნიშვნელობა ენიჭება.

დინამოელებმა, სამწუხაროდ ამ ტურის პირველი მატჩი წააგეს მინსკის რტისთან და, ცხადია, გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. არადა, ამ მატჩის პირველი ნახევარი დინამოელებმა დამაჯერებლად წარმართეს და დაწინაურდნენ — 44:41. იმედი გაგვიჩნდა, რომ საბოლოო შედეგი სასურველი იქნებოდა, მაგრამ ჩვენმა კალათბურთელებმა ვერ შეასრულეს მწვრთნელთა დავალება, დაირღვა გუნდის სათამაშო დისციპლინა. მეორე ტაიმში კაპუსტინმა და დარსაძემ თავი ვერ გაართვეს გამთამაშებლის ფუნქციას და აქცენტი ძირითადად შორეულ ტყორცნაზე გადაიტანეს. იგივე ითქმის სანაძეზეც, რომელიც ტრავმის შემდეგ კვლავ გამოჩნდა მოედანზე. როცა სამქულიანი ტყორცნები მიზანს ვერ აღწევს, ცხადია, საჭიროა მანევრირება, სხვა ტაქტიკური ხერხების გამოყენება. ჩვენმა უკანა ხაზის მოთამაშეებმა ეს ვერ შეძლეს, კოლექტივის დანარჩენი წევრების ფუნქციები შეიზღუდა, ისინი უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაშიც იშვიათად ღებულობდნენ ბურთს, მატჩის ცალკეულ მონაკვეთში პასიურად ითამაშა დერიუგინმაც. უფრო ნათელი რომ გახდეს, თუ რამ განაპირობა ამ შეხვედრის წაგება, რამდენიმე ციფრს მოვიტანთ: სანაძის ექვსი სამქულიანი ტყორცნიდან მხოლოდ ერთმა მიაღწია მიზანს, კაპუსტინისა — ცამეტიდან სამმა, დარსაძისა — თექვსმეტიდან ხუთმა. ამას გარდა, დინამოელებმა აშკარად წააგეს ფარქვეშ ბრძოლა. ერთი სიტყვით, ვერც თავდასხმაში ვიმარჯვეთ, ვერც დაცვაში, რადგან დაირღვა კოლექტიური თამაშის პრინციპი. სწორი იქნება ითქვას, რომ მინსკელებმა კი არ მოიგეს ეს მატჩი, არამედ დინამოელებმა წააგეს (75:84). სწორედ ეს აზრი გამოთქვა თამაშის შემდეგ თბილისელთა უფროსმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა, რომელსაც არ დაუმალავს უკმაყოფილება ცალკეული კალათბურთელების სუსტი თამაშის გამო.

თბილისის „დინამო" კიდევ ერთხელ შეხვდება რტის, ასევე ორ მატჩს გამართავს რიგის ვეფთანაც.

ჯ. ენუქიძე,
ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სტროიტელი" (კიევი) — 71:81, „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — — 79:69, „შახტიორი" (დონეცკი) — ვეფ (რიგა) — 91:76.

პრეტენდენტთა ტურნირის წინ

იანვრის მიწურულს იწყება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ასპარეზობა (24 იანვრიდან 5 თებერვლამდე კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში).

უცხოელი მიმომხილველები ძალიან აქებენ ახალგაზრდა ლენინგრადელ დიდოსტატ ვალერი სალოვს. მის ძირითად ღირსებებად მიაჩნიათ ჩინებული თეორიული მომზადება, უნივერსალური სტილი, პოზიციის ღრმა და მრავალმხრივი შეფასება. გარდა ამისა, მიმომხილველები ხაზს უსვამენ სალოვის შედეგების სტაბილურობას, ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს, მებრძოლ ხასიათს. აი, როგორ აფასებენ სალოვის თამაშს ინგლისელი დიდოსტატები ნაიჯელ შორტი და ჯონათან სპილმენი, რომლებიც, როგორც ცნობილია, ასევე მიიღებენ მონაწილეობას პრეტენდენტების ასპარეზობაში.

შეკითხვაზე, ვის გამოყოფდა თავის თანატოლთა შორის, შორტმა ასე უპასუხა: „გამოვყოფდი ლენინგრადელ სალოვს. იგი „ახალი ტალღის" სხვა საბჭოთა დიდოსტატებისგან სტაბილური, მაღალი შედეგებით გამოირჩევა. სალოვი სისტემატურად აუმჯობესებს თამაშს, ყოველ ტურნირში უკეთესი შედეგი აქვს.

სპილმენმა განაცხადა: „მე საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ჩემპიონატის პარტიები შევისწავლე და გამოვიტანე დასკვნა, რომ სალოვი ყველაზე უკეთ თამაშობდა".

მოკლედ

ფეხბურთი. მოსკოვში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ვალენტინ გრანატკინის პრიზზე. ჭაბუკ ფეხბურთელთა ეს შეჯიბრება მერვედ იმართება.

ტურნირის სტარტზე ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. ანგარიშით 3:1 (1:1) გაიმარჯვეს პირველი გუნდის ფეხბურთელებმა. გაიმართა კიდევ ორი მატჩი: ჩინეთი — გფრ — 3:2 (2:1), საფრანგეთი — აშშ — 4:1 (2:1). ტურნირი 15 იანვარს დამთავრდება.

კალათბურთი. გრძელდება კალათბურთელ ქალთა გუნდების ფინალური ტურნირი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ნოვოსიბირსკის „დინამომ" იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში მოუგო ადგილობრივ „იადინსტვოს" — 97:57, იტალიის „პრიმიჯიმ" დაამარცხა საფრანგეთის „სტად ფრანსეზი" — 61:57, „დინამოსა" და „პრიმიჯის" ოთხი ტურის შემდეგ 8-8 ქულა აქვთ.

ძიუდო. ვოლგოგრადში გამართულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ ძიუდოისტთა პირველობაზე ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელმა ვეფხია კაპანაძემ (აბსოლუტური კატეგორია) და სოხუმელმა მაკარ თვალაძემ (71 კგ). საპრიზო ადგილზე გავიდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ოთხი წარმომადგენელი. გუნდურ ჩათვლაში ქართველმა ფალავნებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 11 იანვარი

პირველი პროგრამა. 16.20 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — ტელეკურსელთათვის საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. პროგრამა მოსწავლეთათვის. 17.10 — რუსული ენა. 17.40 — საქართველოს ისტორია. 18.10 — „საახალწლო მეჯლისი" (გამეორებით). 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრემიერა". — სატელევიზიო სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვება" (საქართველოს ტელევიზიის გადაცემა). I ნაწილი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „ქამუშაძის გაჭირვება". II ნაწილი.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „უცხოპლანეტელი". 18.25 — მულტფილმები. 19.00 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — „მოამბე".

სამშაბათი, 12 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — დოკუმენტური ფილმი „ბალეტმაისტერი იური გრიგოროვიჩი". 14.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ილია ჭავჭავაძე". 14.25 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.55 — საინფორმაციო გამოშვება. 15.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.15 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გმირული სიცოცხლე". 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე". 17.20 — განცხადებები. 17.25 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე". 17.35 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!". 18.30 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი" 19.10 — სახალხო კონტროლის ეკრანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — იავნანა. 21.30 — კონცერტი „მღერიან და-ძმა ერისთავები". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (I იანვრის გადაცემის გამეორება).

მეორე პროგრამა. 16.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე". 18.10 — მულტფილმები. 18.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. 20.00 — მოამბე.

ოთხშაბათი, 13 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — დოკუმენტური ფილმი „კეთილი ნება". 14.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სატრაპი". 14.30 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.20 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პოლიკარპე კაკაბაძე". 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.40 — „საესტრადო პანორამა". 18.05 — განცხადებები. 18.10 — „ჯადოსნური ეკრანი". 18.35 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია". 19.25 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.40 — პუბლიცისტური პროგრამა „ვერტიკალი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — მხატვრული ფილმი „მილიონი საქორწინო კალათაში".

ცისფერ ეკრანზე

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „კანონიერი ქორწინება". 18.30 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები. 19.10 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გელა". 20.00 — მოამბე.

ხუთშაბათი, 14 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა № 43". 14.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სუმბათაშვილ-იუჟინი". 14.20 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.10 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.40 — დოკუმენტური ფილმი „კომბინირებული დაზიანების კერები". 16.10 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები". ვლადიმერ ჭულუხაძე. 17.40 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი თეატრი" (ვერისუბნის ბავშვთა თეატრის პირველი ნაბიჯები). 18.05 — „მხიარული განწყობილება" (თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩი დეკლამატორები). 18.55 — სპორტული გადაცემა. „ათლეტური ტანვარჯიში". 19.30 — წერილის დღე. 19.40 — „გარდაქმნის წახნაგები". 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.45 — „რეზონანსი". საზღვარგარეთული ტურიზმი და ჩვენ. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ქართული თეატრის დღე.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „ძველებური ოინები". 18.15 — მულტფილმები. 18.45 — დოკუმენტური ფილმი „...და ყოველ საღამოს დანიშნულ საათზე". 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე.

პარასკევი, 15 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — დოკუმენტური ფილმი „გორკი. უკანასკნელი წლები". 14.10 — დოკუმენტური ფილმი „მირაჟი". 14.40 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.20 — „მუსიკალური ფოსტა". 16.20 — დოკუმენტური ფილმი „სად წავიდა მთვრალი?". 16.40 — განცხადებები. 16.45 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.15 — მულტფილმი — „ბურიონუშკა". 17.30 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება". 18.40 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 19.15 — „ჩვენი პრემიერა". ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნინო ასათიანი". 19.40 — გერშვინი. „რაფსოდია ბლუზის სტილში". 20.00 — მოამბე. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები". 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ახალგაზრდობისათვის. „ზეიმი ბერიკონში".

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „არც ერთთან". 17.45 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.00 — მულტფილმები. 19.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „დებიუტი". 20.00 — მოამბე.

შაბათი, 16 იანვარი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტფილმი. 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 10.30 — ხალხური შემოქმედება. „ქალაქური ჰანგები". 11.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.20 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.50 — „ამღერებული ლექსი" დ. გვიშიანი 13.00 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „თანამედროვენი". 14.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.45 — ჯადოსნური ეკრანი. 15.10 — ახალგაზრდობისათვის. „ტურისტული ჩანახატები". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.40 — „შრომა და დასვენება". სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი. 17.40 — „შემოდგომის რთულ გზებზე" (გადაცემას უძღვება პოლიტიკური მიმომხილველი ი. ფესუნენკო. მ.). 18.40—„ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სუომი". 19.10 — ხუთწლედი. მესამე წელი. 19.40 — „გარდაქმნის წახნაგები". 20.00 — მოამბე. 20.40 — თანადგომა. 21.00 პ. ჩაიკოვსკი. „იტალიური კაპრიჩიო". 21.20 — სპორტული პროგრამა. 21.55 — პროგრამის შეხსენება. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული პროგრამა.

კვირა, 17 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტფილმი. 10.10 — „დილა მშვიდობისა!". საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — შემეცნებითი გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 14.00 — საკვირაო გამოფენა. 14.05 — ბათუმის მუსიკალური შემოდგომის გალა-კონცერტი. 15.15 — „ვესტნიკი". 15.45 — საკვირაო გამოფენა. 15.50 — სპორტული გადაცემა „საფრანგეთი-84" (საფრანგეთისა და პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა). 17.25 — „თბილისი და თბილისელები". 18.15 — სპორტული გადაცემა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მონო-სპექტაკლი „ბერიკაობა კახეთში" (გ. ბერიკაშვილის მონაწილეობით) გამეორება 21.15 — კონცერტი „უკრავს ლ. ისაკაძე." 22.00 — „ვრემია". 22.40 — მსოფლიოს ბალეტის ოსტატთა კონცერტი.

შაბათი, 9 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.30 — რატომ და რისთვის. 10.00 — „ასეთად დამიხსომეთ". II სერია. 11.10 — როგორ ვისვენებთ. 11.45 — მულტფილმი. 12.00 — შაბათი მშობლების დღეა. 13.30 — ვოკალური ანსამბლი „ზები". 14.00 — დოკუმენტური ტელეფილმი ქალაქ უფის № 10 საავადმყოფოს თვალის მესამე განყოფილების კოლექტივის მუშაობის შესახებ. 15.00 — სოციალისტურ ქვეყნებში. 15.30 — ახალი ამბები. 15.40 — მოსკოვი დღეს და ხვალ. 16.10 — „ცისარტყელა". (პოლონეთი). 16.45 — ყველასა და თითოეულისათვის. 17.15 — დოკუმენტური ფილმი. 18.15 — საახალწლო მელოდიები. 18.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.25 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „წითელი მოედანი". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — გადაცემა იური ვიზბორის შემოქმედებაზე. 24.00 — შუაღამემდე და ნაშუაღამევს.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სტუდია წარმოგიდგენთ „კურანტებს" (ლენინგრადი). 10.00 — ანდერსენის ზღაპრები. 11.25 და 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.45 — ჯანმრთელობა. 12.45 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი. „ჩვენი დღეების მთავარი ამოცანა". 13.30 — ცხოველთა სამყაროში. 14.30 — ნოვატორები და კონსერვატორები. 15.15 — თუ მეტისა ხართ... 16.00 — თხილამურები. მსოფლიო თასი. 17.00 — დნეპროპეტროვსკის თოჯინების საოლქო თეატრის ფილმ-სპექტაკლი „პატარა უფლისწული". სენტ-ეგზიუპერის მიხედვით. 18.30 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 18.35 — კალათბურთი. „ჟალგირისი" — „სტროიტელი". 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ბალების პოეზია". 19.55 — სტუმრად ბერლინში, ს. პროკოფიევი. № 5 სიმფონია. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.00 — ფეხბურთი. ჭაბუკთა ვ. გრანატკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. სსრკ პირველი ნაკრები — ჩინეთის ნაკრები. მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — პროგრამა „ცოდნა". ადამიანის ინსტიტუტი. ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხები. 23.50 — რჩეული. ლეონიდ ანდრეევი. ცხოვრება და შემოქმედება.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.20 — „მხიარული ეკრანი". ცირკი ეკრანზე. 10.55 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.25 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ოქროს კიბეზე მჯდომი". 12.35 — „ჯადოსნური ეკრანი". 13.00 — „წიგნი — ჩემი მეგობარი". 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან". 14.50 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა". 15.25 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — იაპონური ანსამბლი „იამასიროგუმი" საქართველოში. 17.45 — კინომოზაიკა. 18.10 — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ისევ ვოდევილები". 1-ლი და მე-2 მოქმედება. 20.00 — მოამბე. 20.35 — „თანადგომა". 20.55 — მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ისევ ვოდევილები". მე-3 მოქმედება. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი" (მ.). 22.50 — რეპორტაჟები ავღანეთიდან. დასასრულ — მხატვრული პროგრამა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05118 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. X 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14